ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მედია და ახალი ტექნოლოგიები

ხატია სამხარაძე

# „სატელევიზიო ახალი ამბების მედია ეფექტები და ფრეიმები“

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია მედია და ახალი ტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარიამ გერსამია, პროფესორი

თბილისი, 2019

# სარჩევი

ანოტაცია.....

**თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა…….……6**

ძლიერი გავლენის მაგალითები…….....8

მედიაზემოქმედების თეორიები……10

ფრეიმინგი……...……14

**თავი II. კვლევის მეთოდები**……18

**თავი III. 01.12.201„სარალიძის საქმე“……21**

04.12.201 „ნუ მომკლავ!“……..…….26

ზაზა სარალიძის პირელი ინტერიუ…….…34

18.01.2018 განადგურებული მტკიცებულება……..…35

19.04.2018 ხუთჯერ შეცვლილი ჩვენება……36

19.05.2018 სკანდალური ვიდეოჩანაწერი……38

23.05.2018 შვილმკვდარი მამა აქციებს იწყებს……39

24.05.2018 დადეგმილი შეხვედრა…… 41

25.05.2018 ჩაშლილი შეხვედრა……..…43

31.05.2018 საიტზე ძიების რეზულტატი……..49

31.05.2018 სისტემა უნდა დაინგრეს……50

31.05.2018 ა ქ ც ი ა……..……..52

01.06.2018……61

ხორავას ქუჩის საქმის საგამოძიებო კომისია - ორი დასკვნა…….……61

26.10.2018 ზაზა სარალიძე დააკავეს……63

03.06.2019……68

დასკვნა……75

**თავი IV. „ცეკვა თავისუფლებისთვის“……77**

დასკვნა……83

**თავი V. „გავრილოვის ღამე“……85**

დარბევა……88

დასკვნა……92

გამოყენებული ლიტერატურა…….....

# ანოტაცია


სამაგისტრო ნაშრომში - „სატელევიზიო ახალი ამბების მედიაეფექტები და ფრეიმები“ განხილულია სამი ქართული ტელევიზიის, „რუსთავი 2-ის“, „იმედისა“ და „პირველი არხის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვებების დღისწესრიგი. კვლევის მიზანია შეადაროს ერთმანეთს, როგორ გააშუქეს ტელევიზიების მთავარმა საინფორმაციო გამოშვებებმა „სარალიძის საქმის“, „ბასიანის სპეცოპერაციისა“ და „გავრილოვის ღამის“ ყველაზე აქტიური მედიაფაზები.

რადგან სწორედ ყველაზე აქტიურ მედიაფაზებში ფიქსირდება საზოგადოების აქტივობა. რამდენად დიდია საზოგადოების ინტერესი, ამას ადასტურებს ის მაშტაბური საპროტესტო აქციები, რამაც შექმნა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და მედიის დღისწესრიგი.

კვლევის მიზანია დაადგინოს, რა ფრეიმებით და ეფექტებით ახერხებს მედია, რომ ერთი ადამიანის, ან ერთი სოციალური ჯგუფის ტრაგედია იქცეს ეროვნულ ტრაგედიად. კვლევაში ნაჩვენებია 2017-2019 წლების საქართველოს უახლესი ისტორიაში მომხდარი ყელაზე მაშტაბური საპროტესტო გამოსლები. როგორ დაიწყო, როგორ განვითარდა და რა შედეგით დასრულდა სახალხო პროტესტი საქართველოში.

კვლევა ეფუძნება თვისობრივ-რაოდენობრივ კონტენტანალიზს. კვლევაში მოცემულია კონკრეტული რიცხვები, რომლიც მეშვეობითაც ვხედათ რომელმა ტელევიზიამ უფრო მეტი დრო და ჟურნალისტი დაუთმო საკითხის გაშუქებას.
კვლევაში მოცემულია ჟურნალისტური ტექსტისა და ფრეიმების ანალიზი.

ნაშრომი ჩატარებული კვლევის საფუძველზე, პასუხობს კითხვას ასრულებს თუ არა ქართული მედია ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, იყოს დამაკავშირებელი რგოლი, ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

# Annotation

There are discussed daily news releases agenda of three Georgian TV Companies: Rustavi 2, Imedi and First Channel in the present Master's Thesis - „TV Media News and Frames". The aim of the research is to compare how the main news programs of TV channels cover the most active media phases of „Saralidze's Case" „Basiani Special Operation" and „Gavrilov's Night".

Because the most active media phases are outlined public activity. The large-scale protest rallies show how big is public interest that has created a political, public and media agenda.

The goal of the study is to determine the frames and effects through which media manages the tragedy of one person or one social group to become national tragedy. The survey shows large-scale protest rallies in the recent history of Georgia in 2017-2019. How started, how had been developed and how ended people's protests in Georgia

The study is based on qualitative-quantitative content analysis. The survey provides specific numbers that show which TV channels have spent more time and engaged journalist to cover this issue.

The analysis of journalistic text and frames are given in the study.

The work based on the research conducted answers the question whether the Georgian media fulfills one of the main principles of journalism to be a connecting link between the authorities and the people.

# თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სახელმწიფოს ფორმირებაში  მასმედია უდიდეს როლს ასრულებს. ნებისმიერი საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ჰქონდეს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ხელისუფლება, საზოგადოება, მედია ეს არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სამი მოვლენა, რომლებიც ქმნიან არსებულ რეალობას.

მასმედია არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთობლიობა ( ტელევიზია, რადიო, ბეჭდური, ქსელური).  მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე, კინო, თეატრი, ლიტერატურტა და ყველაფერი ის, რასაც აუდიტორიასთან მესიჯი აქვს მისაწოდებელი. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:106]*

მედიის კონტენტი შეიძლება სულაც არ იყოს ჟურნალისტური პრფოდუქტი. მაგალითად ზოგიერთ არხი მხოლოდ მოდას სპორტს ან ლიტერატურას აშუქებს. ეს ყველაფერი  კი ჟურნალისტიკა არ არსი. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:106]*

შეიძლება ითქვას, რომ მედია არის მატარებელი, ხოლო ჟურნალისტიკა არის  პროდუქტი, რომელიც მატარებლის ერთ-ერთი ვაგონით *გადააქვთ. [„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:106]*

თავისუფალი მედია დემოკრატიის საყრდენად ითვლება მას „მეოთხე ხელისუფლების“ რომლი აქვს დაკისრებული. იგი მნიშვნელოვანი სოციალურუი ინსტრუმენტია, რომლიც მედიუმის როლს ასრულებს  საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:107]*

მედია მეთვალყურეობას უწევს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს. ამიტომაც უწოდებენ მას „მოდარაჯე  ნაგაზს“.

ჟურნალისტიკა არის საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის, ან პირიქით საზოგადოებრივი აზრის შექმნის საშუალება. ხშირად ჟურნალისტებს არ ენდობიან, აკრიტიკებენ, ებრძვიან, მაგრამ მიუხედავად ამისა არამხოლოდ მოიხმარენ მედიის პროდუქტს, ქვეცნობიერად ემორჩილებიან კიდეც მას.  მედიას უდიდესიო გავლენა შეუძლია მოახდინოს ადამიანზე. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:108-109]*

მიუხედავად ტექნოლოგიური პოგრესისა ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპი უცვლელი რჩება. ინფორმაციულობა ამ პრინციპთა ფუნდამენტია. გასათვალისწინებელია რომ აუდიტორიის  უდიდესი ნაწილი  გარემოს აღიქვამს არა უშუალოდ, არამედ მედიის საშუალებით მიღებული წარმოსახვითი სურათებით. [ალექსანდრე მღებრიშვილი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: "უნივერსალი" თბილისი 2015, გვ:12]

მედიას მხოლოდ მაშინ შეუძლია სიმართლის თქმა, როდესაც ის დამოუკიდებელია პარტიებისგან, რეკლამის შემკვეთებისგან, ბიზნესისა და სხვა სტრუქტურებისაგან.

საზოგადოებას სჭირდება მედია, რომელიც ხალხის ხმას ხელისუფლებამდე მიიტანს და პირიქით ხელისუფლების თითოეულ ნაბიჯს, ხალხს გააცნობს.  სწორედ ამაზე დგას ახალია ამბების მედია.

რა არის ახალი ამბები? ერთ-ერთი განმარტებით ახალი ამბებია „ყველაფერი რაც საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებს და  რისთვისაც ყურადღება მანამდე არადროს მიუპყრიათ. [ალექსანდრე მღებრიშვილი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: "უნივერსალი" თბილისი 2015]

ყელა იცნობს ძელ ფილოსოფიურ გამოცანას: „ ისმის თუ არა ხის დაცემის ხმა, როდესაც ეს არავის ესმის? "  საინტერესო ამბები ყელგან ხდება, მაგრამ ამბავი მხოლოდ მაშინ იბადება როდესაც მის სიახლოვეს ჟურბნალისტი იმყოფება. [ალექსანდრე მღებრიშვილი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: "უნივერსალი" თბილისი 2015, გვ:65]

 სანამ ახალი ამბები მასობრივი აუდიტორიის წინაშე გამოვა ჯერ რამდენიმე ეტაპია გასავლელი. პირველ რიგში ჟურნალისტი პოულობს ამბავს, შემდეგ ამუშავებს, ანუ ამზადებს მას, შემდეგ  ავრცელებს ანუ აწვდის აუდიტორიას  თავის პროდუქტს და ბოლოს, ელოდება შედეგს.

ნებისმიერი ჟურნალისტური პროდუქტის მთავარი მიზანი ის არის რომ მან შექმნას საზოგადოებრივი აზრი. თუ ახალმა ამბავმა შექმნა საზოგადოებრივი აზრი ე. ი შედეგი მიღწეულია.  [ალექსანდრე მღებრიშვილი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: "უნივერსალი" თბილისი 2015]

მედია არამხოლოდ საზოგადოებრივი აზრის გამტარებელი, არამედ მისი შემქმნელიცაა. ახალი ამბების მომზადებისას ჟურნალისტი გვაცნობს კონკრეტულ ფაქტს და გვაწვდის თეზისს რომელსაც მიმღები უნდა დაეთანხმოს. როდესაც აუდიტორია ეთანხმება ინფორმაციის მთავარ თეზისს, ეს ნიშნავს იმას რომ მედიამ მოახდინა გავლენა აუდიტორიაზე, ანუ შეძლო მისი დარწმუნება.

ახალი ამბები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება როდესაც ინფორმაცია არის ოპერატიული.

ახალია ამბების მთავარი მიზანია გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. აუდიტორიაზე გავლენას ვერ მოახდენ, თუ აუდიტორიას კარგად არ იცნობ. აუდიტორიის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული საქმეა. ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის მისაღწევად, გასათვალისწინებელია სამიზნე აუდიტორიის ინტერესი, საჭიროება, მოლოდინი, რელიგიური მრწამსი, ეროვნული მახასიათებლები, განათლების დონე და საერთო ღირებულებები.

თუ ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება და უნდა აუდიტორიაზე დადებითად იმოქმედოს, ასევე სურვილი აქვს მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის ფორმირებაში, მაშინ საკითხები გაშუქებისა და დებატების დროს უნდა ეცადოს იპოვნოს კომპრომისი. რადგან უკიდურესად დაპირისპირებული აზრების გამოთქმა მედიას აკარგვინებს იმ აუდიტორიას რომელიც გამოსავალს კომპრომისში ხედავს. დემოკრატია საბოლოოდ კომპრომისზეა აგებული და ჟურნალისტი დებატების დროს უნდა ცდილობდეს კომპრომისის პოვნას.

## ძლიერი გავლენის მაგალითები

*ა)* ორსონ უელსი „სამყაროთა ომი“

მასმედიას ადამიანებზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. აუდიტორიამ შესაძლოა სრულიად ალოგიკური ამბავიც დაიჯეროს, თუკი მას ტელე, რადიო ან ბეჭდური მედიიდან გაიგებს. 1938 წელს ორსონ უელსმა ათასობი რადიომსმენელს გაუხეთქა შიშით გული, როცა ეთერში გაუშვა რადიოდადგმა „სამყაროთა ომი“. რადიოგადაცემის ახალი ამბები იუწყებოდა რომ მავანი ასტრონომი მარსზე აფეთქების შეახებ საუბრობდა და რომ

დედამიწისაკენ უდიდესი სიჩქარით უცნობი სხეულები მოფრინავენ. მსმენელს შემდეგ საორკესტრო მუსიკა შესთავაზეს რომელიც გაწყვიტეს საგანგებო განცხადების გასაკეთებლად: სეისმოლოგებს ნიუ-ჯერსში მიწისძვრის მსგავსი რყევა დაუფიქსირებიათ. - რომ ბუმბერაზი მარსელები ქალაქების შემოგარენში მომაკვდინებელ აირს აფრქვევენ, შემდეგ უშუალოდ თვითმხილველის ხმა გაისმოდა, რომელიც აღწერდა ქუჩას მოდებული ურჩხულების საზარელ გარეგნობას, ბოლოს მისი ხმაც შუა ლაპარაკში გაწყდა.

ამ რადიოგადაცემამ საყოველთაო პანიკა გამოიწვია. ადამიანები ქუჩაში სველი პირსახოცებით გამოეფინენ აირის მოქმედების გასაუვნებელყოფად.

მკვლევარებმა დაიანგარიშეს რომ ამ რადიოგადაცემას 1 მილიონამდე ადამიანი ნდობით მოეკიდა, მიუხედავად იმისა რომ წამყვანებმა ოთხჯერ აღნიშნეს, პროგრამა ფანტასტიკური ნაწარმოების ადაპტაცია გახლავთო. ამავე დროს ათასობით დამიანი სხვა რადიოარხით პოლულარულ კომედი შოუს უსმენდა.

მასკომუნიკაციის მკვლევართა პირველ თაობას მიაჩნია, რომ მასმედიას ადამიანებზე ძლიერი და უშუალო ზემოქმედების ეფექტი გააჩნია. ამ მოსაზრებას მძლავრი ეფექტების თეორია იგივე ტყვიის თეორია ეწოდება. სოციოლოგი უოლტერ ლაპმანი ამტკიცებდა, რომ ჩვენ სამყაროს აღვიქვამთ არა ისეთს როგორიც ის არის სინამდვილეში, არამედ „ჩვენს გონებაში ჩაბეჭდილი სურათების“ სახით. მისი თქმით ყოველივე იმის მსგავსი „სურათი“ რაც პირადა არ განგვიცდია, მასმედიის მიერაა ნაკარნაცხევი. [„ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: “უნივერსალი“ თბილისი 2015]

ბ) „მოდელირებული ქრონიკა“ ყველა დროის უდიდესი „შოკისმომგვრელ სიცრუე“

2010 წლის 13 მარტს 20:00 საათზე, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაცემა „სპეციალურ რეპორტაჟში“ გავიდა ცნობილი სიუჟეტი „იმიტირებული ქრონიკის სახელით“. საქართველოს მოსახლეობამ მძიმე შოკი მას შემდეგ განიცადა რაც სიუჟეტით ცხადი გახდა რუსული არმიის საქართვეკლოში განმეორებით შემოჭრა. სიუჟეტის მიხედვით ქართულმა ოპოზიციამ შექმნა სახალხო ხელისუფლება, რომელთა ლიდერებმაც რუსეთთან კავშირი დაამყარეს, რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს სრული ანექსიის ბრძანება გასცა, დაიბომბა აეროპორტები და საზღვაო პორტები. მოხდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია და სხვ.

მცირე გაფრთხილებაში, რომელიც ტელეკომპანიამ გადაცემის დაწყებამდე გააკეთა, აღინიშნა, რომ გადაცემა „მოდელირებული“ იყო, ანალოგიური განცხადება გაკეთდა გადაცემის ბოლოშიც, თუმცა გადაცემის მსვლელობისას არანაირი წარწერა არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს იყო სპეციალური რეპორტაჟი მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით დაიღუპა ერთი ადამიანი, გაიზარდა სასწრაფო დახმარების გამოძახების რაოდენობა. ადამიანებმა ოჯახები დატოვეს და ტყეს შეაფარეს თავი.
13 მარტის „ქრონიკამ“ დიდი რეზონანსი გამოიწვია საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

თაიმმა ისტორიაში ყველაზე აღმაშფოთებელი და შეურაწმყოფელი ტყუილების ათეული შეადგინა. ამ სიაში „მოდელირებული ქრონიკა“ ისეთ მოვლენებს უსწრებს როგორიცაა ორსონ უელსის რადიოადაპტაცია.

აღსანიშნავია რომ დიდი ბრიტრანეთის ელჩმა საქართველოში, დენის კიფმა ტელეკომპანია მისი, როგორც ელჩის მიმართ უპატივცემულობაში დაადანაშაულა და მოითხოვა, ტელეკომპანიას განემარტა რომ ეს კადრები ყალბია და მისი ნებართვის გარეშეა გაშვებული. აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა კი გადაცემას უკიდურესად შემაშფოთებელი უწოდა. [რეზონანსი 2010 წელი 19 მარტი გვ: 12 „მოდელირებული ქრონიკა“ ყველა დროის უდიდეს „შოკისმომგვრელ სიცრუედ“ გამოცხადდა”]

## მედიაზემოქმედების თეორიები

მასმედიის ზემოქმედების შესწალა, სოციოლოგიის გარდა ფსიქოლოგიის ინტერესის არეალშიც ხვდება და ეს შესაბამისად აისახება მედიაზემოქმედების თეორიებშიც. მედიაზემოქმედების თეორიებია:

1. სოციალურ-კოგნიტური თეორია
2. ფრაიმინგის ეფექტი
3. კულტივაციის ჰიპოთეზა
4. ინოვაციათა დიფუზიის თეორია
5. გამოყენებისა და კმაყოფილების თეორია

6. ახალი ამბების პრიორიტეტულობა
7. დარწმუნების ეფექტი

ამერიკელი ფსიქოლოგისა და სოციოლოგის ალბერტ ბანდურის სოციალურ-კოგნიტური თეორია საფუძვლად უდევს მედიაზემოქმედების ბევრ სხვა თეორიას. ***სოციალურ-კოგნიტური თეორიის*** მთაავარი ელემენტებია დასწავლა, დაკვირვების მეშვეობით და მოდელირება. ინდივიდს შეუძლია დასწავლა სხვა ინდივიდთა დაკვირვებით, ხოლო მოდელირება გულისხმობს ქცევის ათვისებული მოდელების განმეორებას. *[„ჟურნალისტიკა"; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:118]*

***ფრაიმინგ-ეფექტი*** ( tu prime-ინგლ. წინასწარი გაფრთხილება, წინასწარი მომზადება, ინსტრუქციის მიცემა).ფრეიმინგ-ეფექტი ხდება მაშინ, როდესაც მასობრივი ინფორმაცია აუდიტორიის წევრთა შემეცნებაში ააქტიურებს წარსულში ათვისებულ ცნებებს, შეძენილ ცოდნას ან აზრებს, რომელთაც კავშირი აქთ ახალი ინფორმაციის შინაარსთან. მას შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ქცევა. მისი ზემოქმედებით ინდივიდმა შეიძლება ჩაიდინოს გარკვეული ქმედება. *[„ჟურნალისტიკა"; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:119]*

ფრეიმინგის ეფექტს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ და ცალკე ქვეთავში მთლიანად ფრეიმებზე ვისაუბრებთ.

***კულტივაციის ჰიპოთეზა*** გულისხმობს რომ იმ მაყურებელთათვის რომლებიც ხშირად უყურებენ ტელევიზორს, დროთა განმავლობაში სამყაროს აღქმა ეკრანზე ნანახ რეალობის მოდელს უახლოდება. ტელევიზიაზე დამოკიდებულება იწვევს მოვლენას რომელსაც მეცნიერები მეინსტრიმინგს უწოდებენ. (გაბატონებული ტენდენცია) *[„ჟურნალისტიკა"; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:119]*

XX საუკუნის შუა ხანებში მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ ვრცელდება იდეები ერთი ადამიანიდან მეორეზე, ან ერთი კულტურიდან მეორეზე. ***ინოვაციათა დიფუზიის თეორია*** ეყრდნობა ფრანგი მეცნიერის გაბრიელ ტარდის თეორიულ ნაშრომებს, რომელშიც მან შემოიღო საზოგადოებრივი აზრის ლიდერობის ცნება.

ამ თეორიის მიხედვით ინოვაციების მიღების და აღქმის თავისებურებათა მიხედვით განასხვავებენ ადამიანთა 5 კატეგორიას. ნოვატორები ( ვინც პირველი აღიქვამს ინფორმაციას) ადრეული მიმდევრები (ვინც ინფორმაციას ნოვატორთა კვალდაკვალ

აღიქვამენ)  ადრეული უმრავლესობა ( ინოაციის მიმღები პირველი მასობრივი ჯგუფი) გვიანი უმრავლესობა( ფრთხილები და სკეპტიკოსები, რომლებიც ელოდებიან, რომ ინოვაცია მიიღოს საზოგადოების დიდმა ნაწილმა)  და ჩამორჩენილები ( რომლებიც სულ ბოლოს იღებენმ ინოვაციას) *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:119-120]*

„ამა თუ იმ ქვეყნისა და ერის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს იდეები. იდეების რაოდენობა ყოველთის მცირეა, მაგრამ ამ მცირე იდეებს ძალიან დიდხანს  შეუძლიათ არსებობა. ახალი იდეები გვაიძულებენ მივიღოთ ისინი, რადგა ძველი იდეები რომ მუდმივად დარჩნენ, ცივილიზაციები ვერანაირ პროგრესს ვერ განიცდიდნენ. მრავალი თაობა არის საჭირო რომ  გაიმარჯვოს ახალმა იდეებმა და კიდევ მრავალი თაობა რომ საბოლოოდ გაქრნენ. იდეას თავისი შედეგები რომ მოჰყვეს ჯერ მასების სულში უნდა შეაღწიოს. იდეა შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სიტყვით (ზოგჯერ ერთი სიტყვითაც) მაგრამ  ეს სიტყვა ყოველთვის ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.” [გუსტავ ლე ბონი „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“ „მთაწმინდელი” 2013 წ. (გ:93)]

საქართველოში  დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეა  ყველაზე დიდია. ეს იდეები იარსებებს მანამ, სანამ საფრთხის ქვეშ იქნება რომელიმე მათგანი. სწორედ მედიის  დახმარებით მოისმინა სრულიად საქართველომ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ცნიბილი სიტყვები, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ეს სიტყვები ყოველწლიურად ჟღერდება განსაკუთრებით  დამოუკიდებლობის აღნიშვნის დღეს, 26 მაისს და ღრმად აღწევს აუდიტორიის გულში.

„არ შეიძლება იყო ხალხის ბელადი თუ არ განასახიერებ მის ოცნებებს“ [გუსტავ ლე ბონი „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“ „მთაწმინდელი” 2013 წ. (გ:106)] ამიტომაცაა რომ პოლიტიკოსები  საზოგადოებასთან მიმართვისას საუბრობენ იმ პრობლემებზე რაც ხალხს აწუხებს, და ჰპირდებიან ამ პრობლემების მოგვარებას.

როდესაც მედია ეკითხება პოლიტიკოსს, - რატომ უნდა აირჩიოს ის ხალხმა, პოლიტიკოსის პასუხია, რომ ის აასრულებს ხალხის ოცნებებს, მოაგვარებს მათ პრობლემებს და იზრუნებს ქვეყნის განვითარებაზე.

ადამიანების აზროვნების ფორმირებაზე მრავალი მოვლენა ახდენს გავლენას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები მაინც სიტყვები, ხატები და ფორმულებია. [გუსტავ ლე ბონი „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“ „მთაწმინდელი” 2013 წ. (გ:186)

ქართულ მედიასივრცეში ხშირად ისმის ისეთი სიტყვები, რომლებსაც უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და დიდი მესიჯის მატარებელია. ასეთი სიტყვებია მაგალითად: „არა ოკუპაციას“ „რუსეთი ოკუპანტია“ „ძალა ევროპაშია“ „დავით გარეჯი საქართველოა“ თითოეული ეს სიტყვა ერთდროულად არის სიტყვაც, ხატიც და ფორმულაც. სხვა სიტყვებით, ეს არის ფრეიმი, ჩარჩო კონკრეტული საკითხის ხატი.

მტკიცება მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ის მრავალჯერ მეორდება. გამეორებით იდეა მკვიდრდება გონებაში და ბოლოს იგი მიიღება, როგორც დამტკიცებული ჭეშმარიტება. სენატორი კატონ უფროსი სენატის ყოველ სხდომაზე ერთი და იმავეს იმეორებდა: „კართაგენი უნდა დაინგრეს“! ამ იდეამ ბოლოს გაიმარჯვა და კართაგენი რომაელებმა გაანადგურეს.

***გამოყენების და კმაყოფილების თეორიის*** თანახმად ტელევიზია არის ერთგვარი კოლაჟი. საზოგადოება იმას უყურებს, რაც მას აკმაყოფილებს და რაც მას ადგება. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:120]*

***ახალი ამებების ზემოქმედების*** პრიორიტეტულობა ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაძლებლობა შეფასდეს საზოგადოების აზრი გარკვეულ საკითხზე - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებამდე და მის შემდეგ. აქ საინტერესოა ვინ ადგენს ახალი ამბების პრიორიტეტულობას, საზოგადოება თუ მასმედია. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:121]*

აღმოჩნდა რომ ***დარწმუნების ეფექტის*** წარმატებული პროცესი მოიცავს სამ თანამიმდევრულ პროცესს: 1. მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შესაბამის მედიაგზავნილს. 2. მომხმარებელმა უნდა გაიგოს გზავნილის შინაარსი. 3. მომხმარებელი უნდა დაეთანხმოს გზავნილის შინაარსს. *[„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე; გვ:121]*

# ფრეიმინგი

ფრეიმი (англ. *Framing)* ინგლისური სიტყვაა და მნიშვნელობათა ფართო წრეს მოიცავს. ფართო გაგებით ეს არის „ფორმა“ – „ჩარჩო“. ფრეიმის სემანტიკურ სინონიმებად შეიძლება გამოვიყენოთ: სქემა, სისტემა, გეგმა, შაბლონი. ფრეიმი არის გარკვეული სქემა, რომელიც ადამიანს ეხმარება სტრუქტურირებული სახით აღიქვას გარკვეული სახის ინფორმაცია.

*ფრეიმინგი* ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდია, რომელიც გამოიყენება იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ესმით ადამიანებს სიტუაციები და მოვლენები. ფრეიმინგი უკავშირდება ირვინგ გოფმანის სახელს და მის წიგნს *(Рамочный анализ)* „ფრეიმების ანალიზი“.

“ფრეიმების ანალიზი” 1974წ. გამოვიდა. წიგნში გოფმანი მიკროსოციოლოგიურ სისტემებს აღწერს. ფრეიმები დიდ ზეგავლენას ახდენენ ემპირიულ რეალობაზე. გოფმანი გამოყოფს პირველად ფრეიმებს (primary frameworks) რომლებიც განასხვავებენ “ბუნებრივ” და “სოციალურ” სფეროებს. ფიზიკური მოვლენები არ ემორჩილებიან ადამიანის ნებას (ბუნება), სოციალური მოვლენები კი ადამიანის შემოქმედების ნაყოფია.

გოფმანის აზრით როდესაც ინდივიდი გაიგებს კონკრეტული მოვლენის შესახებ, მისი რეაქცია მაშინვე იქნება შემოსაზღვრული ჩარჩოებით ანუ ფრეიმებით. გოფმანთან (1974), ფრეიმის ცნება დაკავშირებულია სქემასთან, ტექსტთან, თემასთან. მისი თქმით „ფრეიმი ნიშნავს ინტერპრეტაციების სქემას, რომლითაც ინდივიდებს შეუძლიათ მოვლენებისა თუ ინფორმაციის გავრცელება, გაგება, გააზრება და იარლიყების მიწებება“

მაგალითად როდესაც ჩვენ გვინდა დავხატოთ ხე, ვიცით რომ, ის უნდა იყოს ყავისფერი, მწვანე ფოთლებით. ჩიტს ვხატავთ ფრთებითა და ნისკარტით. ყველა ადამიანს საერთო წარმოდგენა აქვს , როგორ გამოიყურება წიგნი, როგორი სუნი აქვს ვარდს ან როგორი გემო აქვს ფორთოხალს. აქედან გამომდინარე, ჩვენი გამოცდილება არის ნედლეული რომლისგანაც ვქმნით სამყაროს მოდელს, ვათავსებთ მას ფრეიმებში ანუ ჩარჩოებში. [Кузнецова А. С.]

ფრეიმინგის როგორც მასკომუნიკაციის თეორიის შესახემ მრავალი მეცნიერის შეხედულება არსებობს. გემსონისა და მოდილიანის (Gamson & Modigliani, 1987) აზრით, ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს, ის ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების ყურადღებას ხსნის ერთი ვიწრო საკითხის მიმართ. გემსონი და მოდილიანი (1989) წერენ, რომ ფრეიმი

არის ინტერპრეტაციების ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა საკითხს მნიშვნელობას ანიჭებს.

კაპელლა და ჯემისონი (Cappella & Jamieson, 1997) მიიჩნევენ, რომ ფრეიმი საორიენტაციო ჰედლაინებს და სპეციფიკურ სიტყვებს შეიცავს.

ენტმანის (Entman, 1993) აზრით, ფრეიმინგი რეალობის ცალკეული ასპექტების წინ წამოწევას ნიშნავს.

მისი (1993) შეხედულებით, ფრეიმები იდენტიფიცირებულია საკვანძო სიტყვებთან, ბანალურ ფრაზებთან, სტერეოტიპულ სურათებთან. ენტმანის (1993) შრომის მიხედვით, ფრეიმი არის მეთოდი, რომლის საშუალებით, რეალური ფაქტის რომელიმე საკითხის წინ წამოწევა ხდება და შემდეგ შუქდება საინფორმაციო საშუალებებით.

დასავლური მკვლევარები ძირითადად იზიარებენ რობერტ ეტმანის აზრს, რომ ფრეიმინგი ეს არის: რეალობის ცალკეული ასპექტის წინ წამოწევას, რაც თავის მხრივ ცალკეული პრობლემის წინ წამოწევას იწვევს, რასაც მოყვება პრობლემის მიზეზების ინტერპრეტაციები, მისი მორალური შეფასებები და პრობლემის გადაჭრის გზები. ენტმენი (1993, გვ. 52) დეტალურად გადმოსცემს ფრეიმინგის ოთხ ფუნქციას: 1. პრობლემის განსაზღვრა - „გასაღების“ პოვნა, რომლითაც პრობლემა გამოირკვევა 2. ძირითადი გამომწვევი მიზეზების ინტერპრეტაცია 3. ზნეობრივი შეფასება- პრობლემაში ყველა მხარის ჩართულობა 4. რეკომენდაციები - პრობლემის გადაწყვეტის გზის შეთავაზება და მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობა.

თავის ნაშრომში (Framing Bias: Media in the Distribution of Power) ენტმანი (2005) წერდა: „თუ მედიას შეუძლია, აჩვენოს საზოგადოებას, „რის შესახებ იფიქროს”, დიდი ალბათობით, მას ისიც შეუძლია, საგრძნობი გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ „როგორ იფიქროს” აუდიტორიამ.

ტეუკსბერი და შაუფელე (Tewksbury & Scheufele, 2007) ფრეიმინგს აღწერდნენ როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც ფოკუსირებულია იმის დადგენაზე თუ რა ინტერპრეტაციით არის ამბავი წარმოდგენილი. მკვლევარები თეორიის აღწერისას საზოგადოებრივი აზრის მკვლევარის, ფრენკ ლუნტცის, მესიჯს იშველიებდნენ: „მთავარია არა რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი“, შაუფელე და ტეუკსბერი ამ ფრაზის მოხმობით აღნიშნავდნენ, რომ მესიჯის გადაცემისას მისი ფორმა უმნიშვნელოვანესია, რაც ფრეიმინგის არსთან ახლოს დგას.

ფრეიმინგის არსის აღწერისას, მასკომუნიკაციის მკვლევრები სხვადასხვა პრაქტიკულ მაგალითს მოიხმობენ, რაც მკითხველს აღნიშნული თეორიის უკეთ გააზრებაში ეხმარება. ამ

მაგალითებიდან გამომდინარე, იმის თქმაც დასაშვებია, რომ ფრეიმების გამოყენებით აუდიტორიაზე სასურველი ეფექტის მოხდენა სავსებით შესაძლებელია. ეფექტების შესახებ მასკომუნიკაციის მკვლევრებს სხვადასხვა არგუმენტი გააჩნიათ. დრიუკმენი (2001) გზავნილის მიწოდების მნიშვნელობის, ე.წ. „ვორდინგ ეფექტის" (დრიუკმენი, 2001, გვ. 229) საჩვენებლად, 1970-იანი წლების კვლევით დადასტურებულ რეალობას იყენებდა. მისი თქმით, ამ პერიოდში გამოკითხული ამერიკელების 48% კომუნისტს სიტყვით გამოსვლის „ნებას არ დართავდა." მაგრამ, თუ აღნიშნულ ფრაზას („ნებას არ დართავდა") სხვა სიტყვით, მაგალითად, „აკრძალვით" შევცვლიდით და კითხვასაც შესაბამის ფორმულირებას მივცემდით, კომუნისტებისთვის სიტყვის უფლების „აკრძალვის" მომხრეთა რიცხვი 22%-მდე იკლებდა. ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადაცემული გზავნილის ფორმას. ასევე, დრიუკმენი (2003) წერდა, რომ მაგალითად, საზოგადოებისთვის სასიამოვნოდ ჟღერს 95%-იანი დასაქმება, მაგრამ ნაკლებ საამურია, როცა ის 5%-იანი უმუშევრობის შესახებ ისმენს.

საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად ეცნობა პოლიტიკურ სიახლეებს. ისინი, მიუხედავად იმისა, პოლიტიკურად განათლებულნი არიან თუ არა, ხშირად ექცევიან მედიის და სხვა პოლიტიკური მოღვაწეების გავლენის.[Gross, P. (1999). „Limping to nowhere: Romania's media under Constantinescu". East European Studies]

ფრეიმის თეორიის თანახმად, როგორც პოლიტიკური მოთამაშეები, ისე მედია პროფესიონალებიც განსაზღვრავენ და სასურველ მნიშვნელობას და კონტექსტს ანიჭებენ საკითხებს.

ამდენად, მედიის ხელმისაწვდომობა პოლიტიკურ მოღვაწეებს საშუალებას აძლევს ადვილად მიაწოდონ თავიანთი გზავნილები საზოგადოებას. მოვლენების მხოლოდ პროფესიული სტანდარტების შესაბამის გაშუქებას შეუძლია შექმნას მყარი პროფესიული ფილტრი და პოლიტიკური პროპაგანდის ნაცვლად სიმართლის შესაბამისი ახალი ამბები გადმოსცეს.

ფრეიმის თეორიის ძირითადი იდეა არის ის, რომ ,,ფრეიმი" არის დისკურსული საშუალება, რომელიც პროფესიონალ კომუნიკატორებს საშუალებას აძლევს მოახდინონ მოვლენის ან საკითხის მნიშვნელობის კონსტრუირება და აუდიტორია მისთვის სასურველი აღქმისაკენ მიმართოს. ,,ფრეიმი" არის ,,პროცესი, რომლის მეშვეობითაც წყარო განსაზღვრავს მნიშვნელოვან პრობლემას, რაც საფუძვლად უდევს კონკრეტულ სოციალურ ან პოლიტიკურ საკითხს; ის გამოკვეთს, სავარაუდოდ, ამ მოვლენასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს".[Hennessey, B. (1985). Public opinion. Monterey:

Brooks/Cole] სხვა სიტყვებით, „ფრეიმი არის პროცესი, რომლითაც კომუნიკაციის წყარო ... განსაზღვრავს და ქმნის პოლიტიკურ საკითხს ან საჯარო დებატებს“. [Kellinger F. (1986). Foundations of behavioral research. New York: Holt, Rinehart & Winston.]

შედეგები გვიჩვენებს, რომ „ფრეიმებს“ ძლიერი ზეგავლენა აქვთ მოქალაქეთა აზრებზე, პოლიტიკისა და მსგავსი საკითხების შესახებ.[21. Kinder, D., & Sanders, L. (1990). „Mimicking political debate with survey questions: the case of White opinion on affirmative action for Blacks“. Social Cognition. 8(1). 73 103.]

ჟურნალისტის უმთავრესი მოალეობა სიმართლის თქმაა. აუცილებელია ფაქტების გამოჯვნა აზრებისა და კომენტარებისაგან. მხოლოდ ფაქტებზე დაფუძნებულ ჟურნალისტიკას შეუძლია შეასრულოს ჟურნალისტიკის მთავარი მიზანი - მიუკერძოებელი და ობიექტური სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ.

# თავი II. კვლევის მეთოდები

კვლევის მიზანია თვისობრივ-რაოდენობრივი კონტენტანალიზით შევაფასოთ, როგორ გააშუქა სამი ქართული ტელევიზიის რუსთავი ორის, პირველი არხის და იმედის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებებმა „სარალიძის საქმის“, „ბასიანის სპეცოპერაციისა“ და „გავრილოვის ღამის“  ყველაზე აქტიური მედიაფაზები. კვლევა მოიცას მხოლოდ ყელაზე აქტიურ მედიაფაზებს.

აქტიურ მედიაფაზებში იგულისხმება ის კონკრეტული თარიღები, როდესაც მედიამ ქრონომეტრაჟის მაქსიმუმი დაუთმო ერთ კონკრეტულ საკითხს.

აქტიური მედიაფაზა არის ის პერიოდი, როდესაც საკითხისადმი საზოგადოების ინტერესი არის ძალიან დიდი.

რამდენად დიდია საზოგადოების ინტერესი, ამას ადასტურებს ის მაშტაბური საპროტესტო აქციები, რამაც შექმნა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და მედიის დღისწესრიგი.

რადგან სწორედ ყველაზე აქტიურ მედიაფაზებში ფიქსირდება საზოგადოების აქტივობა. კვლევის მიზანია დაადგინოს, რა ფრეიმებით და ეფექტებით ახერხებს მედია, რომ ერთი ადამიანის, ან ერთი სოციალური ჯგუფის ტრაგედია იქცეს ეროვნულ ტრაგედიად. კვლევაში ნაჩვენებია 2017-2019 წლების საქართველოს უახლესი ისტორიაში მომხდარი ყელაზე მაშტაბური საპროტესტო გამოსლები. როგორ დაიწყო, როგორ განვითარდა და რა შედეგით დასრულდა სახალხო პროტესტი საქართველოში.

კვლევის კონტენტანალიზში ყურადღებას გავამახილებთ ფრეიმებზე. ვიმსჯელებთ რამდენად განსხვავებულია სამი სხადასხა ტელევიზიის დამოკიდებულება საკითხის მიმართ, რაც მჟღავნდება ტექსტის შინაარსში. როგორ შეიცვალა ან არ შეიცვალა მთავარი გზანილები დროთა განმავლობაში. ყურადღებას მივაქცევთ წყაროთა მრავალფერონებას, მათ პოლიტიკური და სოციალური სტატუსს.

თვისობრივი კონტენტანალიზი მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

1. ფრეიმები
2. ტექსტის შინაარსი
3. წყაროთა სტატუსი (ბალანსი)

რაოდენობრივი კონტენტანალიზი მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

- ჟურნალისტების რაოდენობას (რამდენი ჟურნალისტი მუშაობს ინფორმაციაზე). რამდენი რეპორტაჟი გავიდა ეთერში.
- დაითვლის ქრონომეტრაჟს. რამდენი დრო ეთმობა ინფორმაცის გაშუქებას.
- დაითვლის ინფორმაციის წყაროებს. რამდენი წყაროა გამოყენებული.

რაოდენობრივი კონტენტანალიზი:

1. ჟურნალისტების რაოდენობა
2. ქრონომეტრაჟი
3. წყაროთა რაოდენობა

კვლევამ უნდა უპასუხოს მთავარ კითხვებს:

1. უკეთებს თუ არა ტელევიზია ფაქტებს ინტერპტეტაციას.
2. არის თუ არა, ჟურნალისტის ტექსტში შეფასებები, დასკვნები და მოწოდებები.
3. ვის უთმობს ტელევიზია მეტ დროს, ხალხს, ოპოზიციას, თუ ხელისუფლება.
4. რა ფაქტი შეიძლება არ გააშუქოს ერთმა ტელევიზიამ, მაგრამ გააშუქოს და მთავარ თემად აქციოს მეორემ.
5. თემაზე მუშაობს ერთი ჟურნალისტი, რომელიც საუბრობს სხვადასხვა საკითხზე, თუ თემაზე მუშაობს რამდენიმე ჟურნალისტი და თითოეული გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას.
6. განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციებში აშუქებს თუ არა ტელევიზია მოვლენებს პირდაპირ ეთერში.

კვლევისთვის შევარჩიეთ სამი ქართული არხი. ორი კერძო და ერთი სახელმწიფო ტელევიზია. „რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი არხი“. ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ როგორ გააშუქდა ამ ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში „ხორავას საქმე“, „ცეკვა თავისუფლებისთვის“ და „გავრილოვის ღამე“. საკვლევი გადაცემებია „კურიერი“ და „მოამბე“ ცხრა საათზე, ასევე „ქრონიკა“ რვაზე.

რადგან სწორედ ეს არის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები. სადაც თავმოყრილია მთელი დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები და სრულყოფილადაა წარმოდგენილი ინფორმაცია.

კვლევისთვის გამოვიყენეთ სამი ტელევიზიის ოფიციალური საიტი. „რუსთავი 2 „ https://bit.ly/30vgWSS , „იმედი“ https://bit.ly/2G4axWU , „პირველი არხი“ https://bit.ly/32fvOGu. საკვლევად გამოყენებულია ტელევიზიების ოფიციალური საიტებზე არსებული მასალა.

კვლევაში დეტალურადაა აღწერილი თითოეული გადაცემა, რათა მაქსიმალური სიზუსტით გაეცეს პასუხი საკვლევ კითხვებს.

# თავი III. 01.12.201„სარალიძის საქმე“

2017 წლის პირველ დეკემბერს ხორავას ქუჩის 4 ნომერში, 51-ე სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარ გარჩევას 2 მოზარდის სიცოცხლე შეეწირა.მეთერთმეტე კლასელები, ლევან დადუნაშვილი და დათო სარალიძე ქალაქის ცენტრში, ხორავას ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დაჭრეს. ლევან დადუნაშვილი ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობებით ადგილზე დაიღუპა. დათო სარალიძის გადასარჩენად ექიმები რამდენიმე საათის განმავლობაში იბრძოდნენ. ის 2 დეკემბერს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. („რადიო თავისუფლება“, ნინო თარხნიშვილი, „ხორავას ქუჩის საქმის 18-თვიანი ქრონიკა“https://bit.ly/2XqttWk)

პირველი დეკემბრის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები, ნაშრომის კვლევის ობიექტმა ტელევიზიებმა სწორედ ხორავას ქუჩის ინცინდენტით დაიწყეს. სისხლიან გარჩევაში ოცდაათამდე მოზარდი მონაწილეობდა, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით წარიმართა.

ვნახოთ როგორ გააშუქა მომხდარი საკვლევმა ტელევიზიებმა.

„**სისხლიანი გარჩევა** სკოლის მოსწალეებს შორის, რას შეეწირა თბილისის ცენტრში 16 წლის მოზარდი.“ ამ წინადადებით დაიწყო ხორაას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გაშუქება ტელეკომპანია რუსთავი ორის დღის მთავარმა საინფორმაციო გამოშებამ. (კურიერი 21:00 01.12.2017 წამყვანები პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუაhttps://bit.ly/2LNupB2)

2017 წლის 1 დეკემბერს კურიერი ცხრა საათზე იწყება „ხორავას ქუჩის საქმით“ ამ თემას ეთმობა სრული 17 წუთი. სპეციალური ადგილებიდან პირდაპირი ჩართვით შემოდის 4 ჟურნალისტი, 4 რეპორტაჟით. 17 წუთის განმავლობაში, ჟურნალისტები თანმიმდევრულად გვაცნობენ მოვლენების განვითარებას, მომხდარიდან რეალურ დრომდე.

**პირველი რეპორტაჟი:** პოლიციის განყოფილებიდან ჟურნალისტი მარიამ გაფრინდაშვილი გვაწვდის ინფორმაციას დაკითხული ადამიანებზე. რეპორტაჟში ვხედავთ და ვუსმენთ დაკითხვიდან გამოსულ ხალხს. ესენი არიან მანდატურები, მასწავლებლები, თვითმხილველები და მოსწავლეები.

**რესპონდენტები:**

- 4 დაკითხული ადამიანი ( ვინაობის გარეშე).
- საქმის პროკურორი.
- 4 თვითმხილელი, მათშორის ინგა პატარქალიშილი, რომელმაც პირელადი დახმარება გაუწია ერთ-ერთ დაჭრილს.
- რესპუბლიკური სააადმყოფოს დირექტორი, ათანდილ იმედაძე.
- ლევან დიდებაძე, დეტექტივ გამომძიებელი.

**მეორე რეპორტაჟი:** უშუალოდ მომხდარის ადგილიდან, ხორავას ქუჩიდან ჟურნალისტი გიგლა თუმანიშვილი საუბრობს ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ 7 საათიანი მუშაობის შედეგებზე.

**მესამე რეპორტაჟი:** რესპუბლიკური სააადმყოფოდან ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძე საუბრობს დაჭრილ მოზარდის უმძიმეს მდგომარეობაზე.

- ზაზა სოფრომაძე, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.
- ლია გიგაური, განათლების მინისტრის მოადგილე.

**მეოთხე რეპორტაჟი:** საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის სამძიმარს, ნათია გოგსაძის ჩართვიდან ვისმენთ.

- გიორგი მარგველაშილი, საქართელოს პრეზიდენტი

თვისობრივად კურიერში გასული 17 წუთიანი ინფორმაცია იყო დეტალური. ინფორმაცია გადანაწილდა 4 ჟურნალისტზე რაც აუდიტორიას აძლევდა საშუალებას, სხვადასხვა მიმართულებით საკითხს გაცნობოდა ხარისხიანად და დეტალურად

*ინფორმაციის ხანგრძლივობა 17 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა 4*

*წყარო 14*

ტელეკომპანია იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვებაც, სწორედ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ინცინდენტით დაიწყო. ვნახოთ როგორ გააშუქა ტელეკომპანიამ მომხდარი.

„**ქუჩური გარჩევა** თბილისის ცენტრში რომელიც ტრაგედიით დასრულდა...“ ამ წინადადებით დაიწყო ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გაშუქება ტელეკომპანია იმედის დღის მთავარმა საინფორმაციო გამოშებამ. (ქრონიკა 20:00 01.12.2017 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი https://bit.ly/2JttPad )

ქრონიკაში ინფორმაციას დაეთმო 8 წუთი. მოვლენების განვითარების შესახებ ისაუბრა 1-მა ჟურნალისტმა.

**პირველი რეპორტაჟი:** რესპუბლიკური საავადმყოფოდან, ჟურნალისტმა ანი ბერუკაშვილმა 4 წუთიან სიუჟეტში მიმოიხილა იმდროს არსებული მთელი ინფორმაცია.

თვისობრივად ქრონიკის 8 წუთიანი ინფორმაცია არიყო დეტალური და ამომწურავი. შესაძლებელი იყო უფრო მეტი ფაქტობრივი ინფორმაციის გაჟღერება.რაოდენობრივად ინფორმაციას დაეთმო 8 წუთი და 1 ჟურნალისტი.

- ლია გიგაური, განათლების მინისტრის მოადგილე
- 3 თვითმხილველი ერთ-ერთი ინგა პატარქალიშილი, რომელმაც პირელადი დახმარება გაუწია ერთ-ერთ დაჭრილს.
- რესპუბლიკური სააადმყოფოს დირექტორი, ათანდილ იმედაძე.
- მანდატური

*ინფორმაციის ხანგრძლივობა 8 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა 1*

*წყარო 6*

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა იყო, პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა.

„**შემზარაი შემთხევა** 51-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, არასრულწლოვანთა შორის სისხლიანი  დაპირისპირების შედეგად დაღუპულია 16 წლის მოზარდი. მეორე ახალგაზრდა სიკდილს ებრძვის.“ ამ წინადადებით დაიწყო ხორაას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გაშუქება ტელეკომპანია პირველი არხის დღის მთავარმა საინფორმაციო გამოშებამ. (მოამზე 21:00 01.12.2017 წამყვანები:თამთა სანიკიძე და ნიკა მუკბანიანი https://bit.ly/2LQV2W5)

მოამბეში  ინფორმაციას 5 წუთი და 1 ჟურნალისტი დაეთმო.

**პირველი რეპორტაჟი:** ხორავას ქუჩიდან პირდაპირი ჩართვით საუბრობს ჟურნალისტი გიორგი კობერიძე. მან მოკლედ გაამახვილა ყურადღება იმდროისთვის  არსებულ მასალებზე. დაჭრილი მოზარდის  მდგომარეობაზე, თვითმხილველთა მონათხრობზე, ექსპერტ-კრიმინალისტებზე და პრეზიდენტ მარგველაშვილის მიმართვაზე.

- ავთანდილ გიორგაძე, რესპუბლიკური საავადმყოფოდან
- ზაზა სოფრომაძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე
- ლია გიგაური, განათლების მინისტრის მოადგილე
- 2 თვითმხილელი
- ლევან დიდებაძე, დეტექტივ გამომძიებელი.

*ინფორმაციის ხანგრძლივობა  5 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა 1*

*წყარო 6*

**01.12.2017**










რაოდენობრივი კვლევა გვიჩვენებს რომ სამი ტელევიზიიდან ყველაზე მეტი დრო, ჟურნალისტი და რესპონდენტი ყავდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს. აქედან გამომდინარე შინაარსობრივი მხარეც, ამ ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებაში უფრო ვრცელი და დეტალური იყო.

## 04.12.201 „ნუ მომკლავ!“

მომხდარიდან 4 დღის შემდეგ დააკავეს 2 არასრულწლოვანი და 3 სრულწლოვანი ადამიანი. ორი არასრულწლოვნიდან ერთ-ერთი სამდღიანი მიმალვის შემდეგ ჩაბარდა პოლიციას ადვოკატის თანხლებით. ხოლო სამი სრულწლოანი დაკავებულიდან ერთ-ერთი არის მშობელი ორი მოსწავლისა, რომლებიც დანაშაულის ადგილას იმყოფებოდნენ, საიდანაც მამამ მანქანით წამოიყვანა და დაეხმარა სისხლიანი ნივთების განადგურებაში. დაკავებულ მშობელს ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება.

ამავდროულად მირზა სუბელიანმა, საქართელოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ თანამდებობა დატოვა, რადგან მისი შვილი სისხლიანი გარჩეის ერთ-ეთი მონაწილე იყო.

იქმნება უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც გაამკაცრებს უსაფრთხოებას სკოლებში. შსს-სა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლების ერთობლი შეხედრაზე იზრდება მანდატურის როლი, სკოლებში პატრულირებას ჩაატარებს პატრული და გააქტიურდება ფსიქოლოგის სამსახური.

4 დეკემბერსე იმართება პირელი დაანონსებული აქცია 51-ე სკოლასთან სახელწოდებით „ნუ მომკლა“

ვნახოთ როგორ გაშუქდა მიმდინარე მოვლენები, დღის მთავარ საინფორმაციო გამოშებებში.

***„...მოვუწოდებთ სრულიად ერს, რომ არ გაჩუმდეთ, არ დავჯდეთ სახლებში, გამოვიდეთ კონფორტის ზონიდან. ჩვენი თავი ჩავაყენოთ მშობლების ადგილას, აღვშფოთდეთ და გავაპროტესტოთ ის რაც ხდება დღეს. ჩვენ მთელმა საზოგადოებამ, უნდა ვაღიაროთ, რომ სიჩუმე არ შეიძლება.“*** (მარი ნაკანი აქციის ორგანიზატორი; https://bit.ly/2NLuOa4)

რუსთაი 2-ის დღის მთაარი საინფორმაციო გამოშვება გამცნობს რომ დაკავებულ ორ არასრულწლოანს ბრალი მკვლელობაში ედება, ხოლო სამ სრულწლოანს დანაშაულის დაფარვაში, რომელთაფანაც ერთ-ერთი **შსს-ს თანამშრომელია.** (https://bit.ly/2NLuOa4)

**პირველი რეპორტაჟი:** ჟურნალისტი, ქეთი ნადიბაიძე, ამბობს რომ არასრულწლოანს, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმალაში იმყოფებოდა, შსს-ში კითხავენ.

მეორე ყველაზე მნიშვნელოანი ინფორმაცია არის ის რომ ერთ ერთი დაკავებული, რომელსაც დანაშაულის შეუტყობინებლობაში ედება ბრალი არის თენგიზ კალანდია, შსს-ს კადრების განყოფილების თანამშრომელი. თენგიზ კალანდიამ მანქანით მიაკითხა თავის შილებს ხორაას ქუჩაზე, წაიყვანა სახლში და დანაშაული არ შეატყობინა პოლიციას.

სიუჟეტში ვხედავთ იმიტირებულ ვიდეომასალას. რომელშიც ნაჩვენებია მოზარდებს შორის საპირფარეშოდან დაწყებული კონფლიქტი. სიუჟეტში საუბარია რა სახის ცივი იარაღი შეიძლებოდა ჰქონოდათ მოსწალეებს. აქვე ჟღერდება მირზა სუბელიანის სახელი, რომლის შვილმაც, კონფლიქტის დროს თავის ბიძაშვილს დაურეკა დასახმარებლად. ჟურნალისტი სვამს კითხას, - **„საინტერესოა რა გადაწყეტილებას მიიღებს გამოძიება მირზა სუბელიანის შვილთან დაკავშირებით“** შსს-ში ადასტურებენ, რომ სუბელიანი გადადგა, მისი შილი კი მოწმის სტატუსით დაკითხეს.

- იოსებ ხუციშვილი, თბილისის პროკურატურაში საპროცესო განყოფილერბის უფროსის მოადგილე

**მეორე რეპორტაჟი:** ჟურნალისტი, ეკო მაღრაძე პასუხობს კითხვას, **ვინ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დაკავებული რომელსაც გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებოდა**? ამ მთავარ კითხას, ჟურნალისტი თავად თენგის კალანდიას საცხოვრებელი სახლიდან პასუხობს.

- ჟურნალისტს კარს უღებენ კალანდიას მცირეწლოვანი შილები რომლებიც ამბობენ, რომ უფროსები სახლში არ არიან
- ჩაწერილია მეზობელი რომელიც სრულ ინფორმაციას არ ფლობს.

**მესამე რეპორტაჟი:** ჟურნალისტი, ანა წერეთელი საუბრობს სკოლის დირექტორების დაკითხვაზე. მათ უნდა უპასუხონ გამოძიებას ამომწურავად რა შეიძლებოდა ყოფილიყო კონფლიქტის მიზეზი. 51-ე სკოლის ფსიქოლოგის განცხადებით სწალის პროცესი ჩაშლილია, მოსწალეები არიან შოკურ მდგომარეობაში და მათთან ფსიქოლოგიური მუშაობა ამდროისთვის შეუძლებელია.

51-ე სკოლასთან მიმდინარეობს მდუმარე აქცია „ნუ მომკლავ“ აქციაზე მოდიან სკოლები რეგიონებიდან, ცნობილი ადამიანები, და პარლამენტარები.

- 51-ე სკოლის დირექტორი
- პირველი ექსპ.სკოლის დირექტორი
- მანდატური
- 2 მოქალაქე
- ლეან ზარდალიშვილი, ფსიქოლოგი
- 3 მოსწალე
- 4 მშობელი
- მშობელთა კომიტეტი
- ჩაქვის მასწავლებელი
- ანა დოლიძე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი
- სანდრა რულოვსი
- ინგა გრიგოლია

**მეოთხე რეპორტაჟი:** ნინო გაზდელიანი ესაუბრება დაკავებული არასრულწლოანის ადვოკატს

- ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი.

**მეხუთე რეპორტაჟი:** ნინო სამყურაშვილი, საუბრობს კანონის გამკაცრებაზე, რომ ბულინგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გაითვალისწინებს და საპატრულო პოლიცია ჩაერთვება სკოლის უსაფრთხოების გაკონტროლებაში.

- მარიამ ჯაში
- თამარ ჩუგოშვილი
- სოფიო კილაძე
- დავით ლაგილაა (ნაციონალ
- სერგო რატიანი )ევროპული საქართელო
- უჩა ნანუაშვილი

- ნათია მეზრიშილი
- ლია გიგაური

*ინფორმაციის ხანგრძლივობა 36 წთ*

*ჟურნალისტების რაოდენობა 5*

*წყარო 30*

ტელეკომპანია იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვება იწყება საქმეში დაკავებულ ადამიანებზე საუბრით. ძირითადი თემაა 16 წლის, სამდღიან მიმალაში , აწ უკვე ჩაბარებული არასრულწლოვანი, რომელსაც მკვლელობის მუხლით აქვს ბრალი წარდგენილი. გადაცემაში **არ** ჟღერდება თენგიზ **კალანდიას სახელი** და არც ის რომ ერთ ერთი დაკავებული, რომელიც დანაშაულის დაფარვაშია ბრალდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. სამაგიეროთ ღიად ჟღერდება მირზა სუბელიანის გვარი, რომ **მირზა სუბელიანის** არა მხოლოდ შვილია საქმის მონაწილე, არამედ ზემოთხსენებული ბრალდებული, რომელიც დანაშაულის დაფარვის ბრალდებითაა დაკავებული, რადგან შვილი ხორავას ქუჩიდან სახლში წაიყანა და გადამალა სისხლიანი ტანსაცმელი სწორედ მირზა სუბელიანის **ნათესავია.** (ქრონიკა;20:00; 04.12.2017; წამყვენები, ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი https://bit.ly/32iQjCk )

**პირველი რეპორტაჟი:** ჟურნალისტი, ლევან ჩუგოშვილი მიმოიხილავს სამართლებრივ მდგომარეობას. შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია კი ამბობს, რომ **სამძებრო სამუშაოები დასრულებულია, ყველა ეჭვმიტანილი დაკავებულია.**

*(საქმიდან ერთი წლის შემდეგ გახარია ხორავას ქუჩის საქმეს ღირსების ამოცანას და პიროვნულ გამოწვევას უწოდებს. მას ერთი წლის შემდეგაც კი არ ეყოლება დაკავებული დავით სარალიძის მკვლელები)*

- ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი
- გიორგი გახარია, შინაგან საქმეთა მინისტრი
- გიორგი გოგაძე
- აქვე საუბარია მანდატურის ინსტიტუტის გაძლიერებაზე

- ნათია მეზვრიშვილი
- ლია გიგაური

**მეორე რეპორტაჟი:** ვასილ  დაბრუნდაშვილი, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოდან. დაკითხვაზე იმყოფებიან თბილისის 51-ე სკოლის დირექტორი და პირელი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

- ლია გიგაური, განათლების მინისტრის მოადგილე
- 51-ე სკოლის დირექტორი
- პირელი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

**მესამე რეპორტაჟი:** მანდატურის როლის გაზრდა, პატრულისა და ფსიქოლოგების ჩართულობა.

- ფსიქოლოგი
- მიხეილ ჩხენკელი
- მარიამ ჯაში
- თამარ ჩუგოშვილი
- სერგო რატიანი (ევროპული საქართელო)
- უჩა ნანუაშვილი  (სახალხო დამცელი)
- 2 პედაგოგი

**მეოთხე რეპორტაჟი:** ნანუკა ქაჯაია 51-ე სკოლიდან სადაც მიმდინარეობს მდუმარე აქცია სახელწოდებით  „ნუ მომკლავ!“

- 2 მოსწავლე
- მშობელი
- ანა დოლიძე (პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი)

***ინფორმაციის ხანგრძლივობა  25 წუთი***

***ჟურნალისტების რაოდენობა 4***

***წყარო 20***

პირველი არხის დღის მთაარი საინფორმაციო გამოშება იწყება 5 დაკავებულით.

განსხვაებით რუსთვი ორისა და ტელეკომპანია იმედისა აქ არ სახელდება, **არც მირზა სუბელიანის სახელი, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკავებული თანამშრომელი და არც კალანდიას გარი.** ( https://bit.ly/32bgx9A ; მოამზე 21:00 04.12.2017 წამყვანები:თამთა სანიკიძე და რატი ხვისტანი)

**პირველი რეპორტაჟი:** პირველი არხის დღის მთაარი საინფორმაციო გამოშება იწყება 5 დაკავებულით.

ტარიელ კაკაბაძე, ადვოკარტი

გიორგი გოგაძე

**მეორე რეპორტაჟი:** უწყებაშაშორისი ჯგუფის შექმნა. მანდატურის ინსტიტუტის გაძლიერება, პატრულისა და ფსიქოლოგების ჩართულობა

- პირველი ექს . სკოლის დირექტორი
- მანანა თურქაძე
- ლევან ზარდალეიშვილი (მანდატურის ინსტიტუტის წარმომადგენელი)
- მიხეილ ჩხენკელი განათლების  მინისტრი
- ნათია მეზვრიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის  მოადგილე
- ბერიკა შუკაკიძე, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

**მესამე რეპორტაჟი:** საზოგადოების გულგრილობაზე, ქუჩის აკადემიაზე, დანაშაულის შეტყობინების გაიგივებაზე ჩაშვებასთან. გიორგი გახარიას კომენტარი: „150 პირიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ძალიან ცოტა ხალხმა“

- ჯემალ ჯანაშია
- ლაშა ბუღაძე, მწერალი. საუბრობს ქუჩის აკადემიაზე
- ჟანა ჯავახიშვილი,  ფილოლოგი

**მეოთხე რეპორტაჟი:** სოფო ზედელაშვილის რეპორტაჟიდან ვიგებთ რამდენად ხელმისაწდომია მოსწალეებისთის ცივი იარაღის შეძენა. რა გავლენას ახდენს კომპიუტერი მოსწალეთა აგრესიულ ქცეაზე.

51-ე სკოლასთან მიმდინარე მდუმარე აქციას სახელწოდებით „ნუ მომკლავ!“ ეთმობა 1 წუთი.

- 2 მშობელი
- არასრულწლოვანი
- ეკატერინე სხილაძე, სახალხო დამცელის აპარატის წარმომადგენელი
- დარეჯან თოლორდავა, ფსიქოლოგი

*ინფორმაციის ხანგრძლივობა 18 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა 4*

*წყარო14*

. . .

04.12.2017 წლის მთაარი საინფორმაციო განსხაებები შინაარსობრიად მკეთრად განსხვაებულია. თუმცა აქცენტი მაინც კეთდება დაკავებულ 5 ადამიანზე.

მხოლოდ ტელეკომპანია რუსთაი 2 საუბრობს თენგიზ კალანდიაზე და ხაზგასმით უთითებს რომ ის შსს-ს თანამშრომელია.

კურიერში 4 დეკემბერს გაჟღერდა კითხვა, რომელსაც პასუხი დიდი ხნის განმავლობაში არ გაეცემა. (**„საინტერესოა რა გადაწყეტილებას მიიღებს გამოძიება მირზა სუბელიანის შვილთან დაკავშირებით“**)

ეჭვი იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის შვილს მფარველობას გაუწევენ, ტეეკომპანიამ ხმამაღლა განაცხადა.

4 დეკემბერის მოვლენებში მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა მინისტრის, **გიორგი გახარიას კომენტარი,** რომელიც ამბობს რომ **ყველა ეჭვმიტანილი დაკავებულია**. ერთი წლის შემდეგ 2019 წლის 3 ივნისს, როდესაც გ.ჯ-ს დათუნა სარალიძის მკვლელობაში 11 წლითა და 3 თვით პატიმრობას შეუფარდებენ, შინაგან საქმეთა მინისტრი იტყვის, რომ ჯგუფურ მკვლელობაში დამნაშავე სხვა პირების დასაკავებლად გამოძიება მიმდინარეობს და ეს გამოძიება, შეიძლება წლობითაც გაგრძელდეს, რადგან საქმე არასრულწლოვნის დანაშაულს ეხება და რთული სპეციფიკისაა.

მკვლელობიდან 4 დღეში შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს რომ სამძებრო სამუშაოები დამთავრებულია. მაგრამ გამოუძიებელ საქმეზე, ერთი წლის შემდეგ იტყვის რომ გამოძიება წლობით შეიძლება გაგრძელდეს.

საკმაოდ **უტყუარი** იყო მიხეილ კალანდიას მონაწილეობა საქმეში. უტყუარი იმიტომ რომ ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში სწორედ მიხეილ კალანდიას სახლიდან გვერთვება. კურიერის რეპორტაჟში ვხედათ როგორ ამბობენ კალანდიას ოჯახის არასრულწლოვანი წევრები რომ მათი ძმები გამომძიებლებმა წაიყვანეს, ხოლო მშობლები სახლში არ იმყოფებიან.

ტელეკომპანია იმედი არ ასახელებს თენგიზ კალანდიას სახელს. საუბრობს მასზე, როგორც მირზა სუბელიანის ნათესაზე. თუმცა მირზა სუბელიანის შვილის მოწმის სახით დაკითხაშიც ხედას პრობლემას.

ტელეკომპანია პირელი არხი  არ ასახელებს არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც მირზა სუბელიანს.

04.12.2017









## ზაზა სარალიძის პირელი ინტერვიუ

მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ვიკვლევთ მხოლოდ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გადაცემა P.S-ის ეთერში გასულ, შვილმკვდარი მამის ინტერვიუს. (P.S; 17.12.2017 გიორგი გაბუნია; https://bit.ly/2LK342M)

უნდა აღინიშნოს რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, გარდაცვლილი არასრულწლოვნების მშობლებს მედიასთან კომუნიკაცია არ ქონდათ. პირველი ინტერვიუ დათუნა სარალიძის მშობლებთან 17.12.2017 წელს ჩაწერა რუსთავი ორის ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა

გადაცემა P.S -სთვის. ჟურნალისტი შესავალ სიტყვაში აღნიშნას რომ *„ზაზა სარალიძე საერთოდ არ საუბრობს მკვლელობის მიზეზებზე, საერთოდ არ იცის ვინ მოკლა მისი შვილი, იცის მხოლოდ ინიციალები, პრინციპში არც აინტერესებს, მისთის მნიშნელობა არ აქვს სახელებსა და გვარებს. უბრალოდ მას ჰგონია რომ დამნაშავეთა წრე უფრო დიდია და ამის გარკვევას აპირებს.* "(დავით ქაშიაშვილი ჟურნალისტი) *ზაზა სარალიძის ეს რბილი ტონი რამდენიმე თვეში მკვეთრად შეიცვლება.*

მედიასთან პირველ ინტერვიუში ზაზა სარალიძე, შვილის მეგობრებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს მისი თქმით, **არ არის საჭირო სოლიდარობის გამოცხადება**, რომ ეს ყელაფერი ღვთის ნება იყო.

(5 თვის შემდეგ, 31.05.2018 წელს ზაზა სარალიძე ამ მიდგომას რადიკალურად შეცვლის და მთელი საქართველოს გასაგონად იტყვის: **„სისტემა დამეჯახა, ამ სისტემას ქართველი ხალხის გვერდში დგომით დავანგრევ.)**

გადაცემის წამყანის შეფასებით ეს იყო ბოლო დროის ყელაზე მძიმე ინტერვიუ.

ზაზა სარალიძე ენდობოდა გამოძიებას, ის ელოდებოდა საბოლოო შედეგებს. მთავარი მესიჯი სარალიძის საზოგადოებისადმი იყო ის, რომ მას სოლიდარობა არ უნდოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ის საზოგადოებას სოლიდარობას და დახმარებას სთხოვს.

## 18.01.2018 განადგურებული მტკიცებულება

**„მთავარი მტკიცებულება** 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმეში **განადგურებულია - მოშლილია ფარდული,** სადაც მოზარდებმა იჩხუბეს.

2018 წლის 18 იანვრის კურიერი სკანდალური ინფორმაციით იწყება. განადგურებულია ფარდული სადაც ორი მოზარდის მკვლელობა მოხდა. ვის და რაში სჭირდებოდა ამ ფარდულის განადგურება? ამ კითხვის პასუხს მაღალჩინოსნებთან მივყავართ, რომლებსაც კვალის წაშლა და გარკვეული დამნაშავეების გადარჩენა სურთ.

ფარდულის განადგურებას მიზანმიმართულს უწოდებს გარდაცვლილი დავით სარალიძის მამა, მისი ვერსიით მკვლელობის ადგილის მოშლით დანაშაულის კვალი და

შესაძლო მტკიცებულებები წაიშალა. გამორიცხული არაა რომ საქმეში სხვა მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩართული, რომლებსაც უნდათ ეჭვმიტანილებზე ხელის დაფარება."(კურიერი 21:00 18.01.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუაhttps://bit.ly/30BgTVF)

კარდში ჩანს დანგრეული ფარდული, სადაც ვერანაირი საგამოძიებო მოქმედება ვეღარ ჩატარდება. ვეღარ შედგება დაგეგმილი საგამოძიებო ექსპერიმენტი.

- ტარიელ კაკაბაძე
- მეზობლები
- ზაზა სარალიძე

***ინფორმაციის ხანგრძლივობა 5 წუთი***

***ჟურნალისტების რაოდენობა 1***

***წყარო 4***

ტელეკომპანია იმედის და ტელეკომპანია პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 18 იანვარს, **ფარდულის განადგურების შესახებ ინფორმაცია არ გასულა.** ეს ინფორმაცია ეთერში არ გასულა არც 19, 20 და 21 იანვრის საინფორმაციო გამოშვებებში.

## 19.04.2018 ხუთჯერ შეცვლილი ჩვენება

გამოძიების პროცესში მთავარმა მოწმემ მიხეილ კალანდიამ ხუთჯერ შეცალა ჩვენება. რაც მასზე ზეწოლის ეჭვს ქმნის. (კურიერი 21:00 19.04.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2XaSkg7)

ამავე პერიოდში ზვიად კუპრავა აცხადებს რომ მირზა სუბელიანი ფლობს ვანო მერაბიშილის ციხიდან გაყვანის კადრებს, რითაც ის პროკურატურას აშანტაჟებს. რადგან უნდა საკუთარი ნათესავის, მიხეილ კალანდიას გადარჩენა, ასევე საკუთარი შვილის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, რომელიც სისხლიან გარჩევაში მონაწილეობდა.

თავის მხრივ ზვიად კუპრავას მირზა სუბელიანის სიმამრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ბორის კაკუბავა აშანტჟებს.

**პირველი რეპორტაჟი:** ნინო გაზდელიანი საუბრობს დეტალებზე.

- სატელეფონო ჩანაწერი (ბორის კაკუბავა და ზვიად კუპრავა)
- ზვიად კუპრავა
- დავით გუმბერიძე პროკურორი
- ტარიელ კაკაბაძე ადვოკატო
- ზაზა სარალიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა 7 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა 1*

*წყარო 4*

- **ტელეკომპანია იმედის და ტელეკომპანია პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ეს ინფორმაცია არ გაშუქებულა.**

აღსანიშნავია რო ტელეკომპანია „იმედმა“ და ტელეკომპანია „პირველმა არხმა“ არც ფარდულის დანგრევის ფაქტი და არც სუბელიანის მიერ, ინფორმაციით „ვაჭრობის“ საკითხი აუდიტორიას არ გააცნო.

19.05.2018

# სკანდალური ვიდეოჩანაწერი

მიუხედავად იმისა რომ კვლევა მიმდინარეობს, მხოლოდ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე, შაბათის კურიერში გასულ სკანდალურ ვიდეოჩანაწერს გვერდს ვერ ავუვლიდი. (19.05.2018 შაბათის კურიერი, https://bit.ly/2XZoK1n)

შაბათის კურიერის ეთერში გავიდა კალანდიების სახლთან არსებული სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერები. ჩანაწერებში ჩანს კალანდიების სახლში მისული მირზა სუბელიანის მეუღლის მანქანა. თავად მირზა სუბელიანი კი ფეხით მიდის ნათესავების სახლში.

„შაბათის კურიერში“ გასული სკანდალური რეპორტაჟის შემდეგ, ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ პროკურატურას მიმართა და ამავე უწყების ყოფილი მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის პასუხისმგებლობის დაყენებას ითხოვა.

სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ რა ხდება მკვლელობის შემდეგ, სისხლიან გარჩევაში მონაწილე კალანდიების სახლთან.

„კურიერის“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ მასალაში ჩანდა თუ როგორ ყრიდნენ სისხლიან ტანსაცმელს საკანალიზაციო ჭაში და რომ იმავე ბინაში იმყოფებოდა მაშინ ჯერ კიდევ პროკურატურის თანამშრომელი მირზა სუბელიანი, ასევე ოჯახის მეგობარი პოლიციელი.

მოკლული დავით სარალიძის მამის ზაზა სარალიძის თქმით, „შაბათის კურიერში“ გასული კადრებიდან ნათლად ჩანს, რომ **სუბელიანი დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობდა.**

23 მაისს ზაზა სარალიძემ საქმის მასალები **"ეროვნული პლატფორმის"** წარმომდგენლეებს გააცნო სარალიძმ განაცხადა , რომ გავლენიანი მფარველების გამო, გამოძიება რეალურ დამნაშავეებს ხელს აფარებს.

## 23.05.2018 შვილმკვდარი მამა აქციებს იწყებს

ზაზა სარალიძე იღებს გადაწყვეტილებას გამართოს ქუჩის აქციები. ოჯახი ამბობს რომ მათ **სხვა გზა აღარ დარჩათ**. 23 მაისს ზაზა სარალიძე ოპოზიციას შეხვდა. ოპოზიციამ განაცხადა რომ შვილმოკლულ მამას მთელი სახელმწიფო მანქანა ებრძვის, სარალიძე **სისტემის მსხვერპლია და** რომ ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის ხმა გამოაფხიზლებს და მხოლოდ სამოქალაქო პროტესტი აღასრულებს სამართალს.(კურიერი 21:00 23.05.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2LO8c5R )

დავით სარალიძე: „მე ჩემს შვილთან ერთად მოვკვდი, მკდარი მეორედ არ კდება. ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლის დასადგენად“

- ნიკა მელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე.
- ბაჩუკი ქარდაა, ერონულ-დემოკრატიული პარტიის თამჯდომარე.
- შოთა მალაშხია, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პლატფორმის თავმჯდომარე.
- პაატა დავითაია, საქართველოს ევროპელი დემოკრატების თავმჯდომარე.
- პაატა დავითაია საქართველოს ევროპელი დემოკრატების თავმჯდომარე:
- ნიკა მაჭუტაძე პოლიტიკური მოძრაობის „სახელმწიფო ხალხისთვის „ თავმჯდომარე.
- ზაზა სარალიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 5 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 7*

ზაზა სარალიძის მიერ აქციების დაანონსების შესახებ, ინფორმაცია **არ** გასულა 23 მაისის ტვ.იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. (ქრონიკა 20:00 23.05.2018 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი; https://bit.ly/30pBCeM)

პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშების 26-ე წუთზე 1 წუთიანი მიმოხილით წამყვანი ამბობს რომ ზაზა სარალიძე საპროტესტო აქციებს აანონსებს.(მოამზე 21:00 23.05.2018 წამყვანები:თამთა სანიკიძე და რატი ხვისტანი https://bit.ly/32nmjVZ )

**23.05.2018**









## 24.05.2018

## დადეგმილი შეხვედრა

მთავარი პროკურორი და ზაზა სარალიძე შეხვედრაზე შეთანხმდნენ. თუმცა საინტერესოა დაესწრებიან თუ არა ამ შეხედრას მედიის წარმომადგენლები.(კურიერი 21:00 24.05.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2XEt8yz)

**პირველი რეპორტაჟი:** ნათია ტრაპაიძე

- ირაკლი შოთაძე, საქართველოს მთავარი პროკურორი ამბობს რომ არცერთი მტკიცებულება არ მოიპოება მირზა სუბელიანის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე
- ზაზა სარალიძე ფიქრობს რომ პროკურატურამ უკე ბევრი ფაქტი დამალა, ძირითადი ბრალდება კი მირზა სუბელიანს უკაშირდება, რომელსაც მტკიცებულებების გაქრობასა და ნათესაებზე ხელის დაფარებაში ადანაშაულებს.
- ტარიელ კაკაბაძე ამბობს რომ ვიდეო, რომელიც შაბათის კურიერში გავიდა სადაც ჩანს კალანდიების სახლში მიმავალი მირზა სუბელიანი საქმეში არ დევს.

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 7 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 3*

ტელეკომპანია იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 37-ე წუთზე 2 წუთიან რეპორტაჟში აცხადებს რომ მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე სურვილს გამოთქვამს შეხდეს ზაზა სარალიძეს. თავისმხრი ზაზა სარალიძე თანხმობას აცხადებს ამ შეხედრაზე. (ქრონიკა 20:00 24.05.2018 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი;https://bit.ly/2xEdWac)

- ირაკლი შოთაძე
- ზაზა სარალიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 2 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 2*

პირველი არხის, 2 წუთიან სიუჟეტში საუბარია ირაკლი შოთაძისა და ზაზა სარალიძის შეხედრაზე, რეპორტაჟი მთავრდება ირაკლი შოთაძის სიტყვებით, რომ არცერთი მტკიცებულება მირზა სუბელიანის დანაშაულზე არ არსებობს. (მოამბე 21:00 24.05.2018 წამყვანები:თამთა სანიკიძე და ნიკა მუკბანიანიhttps://bit.ly/32lFNtI)

- ირაკლი შოთაძე მთავარი პროკურორი
- ზაზა სარალიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 2 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 2*










## 25.05.2018

## ჩაშლილი შეხვედრა

კურიერის პირველივე სიუჟეტი ეთმობა მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძისა და ზაზა სარალიძის ჩაშლილ შეხედრას. ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამა, მთავარ პროკურორთან შეხვედრას არასამთავრობოების, "სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრისა" და "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ხელმძღვანელების თანდასწრებით ითხოვდა. (კურიერი 21:00 25.05.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2JD1RaJ )

**პირველი რეპორტაჟი:** ჟურნალისტი, ნინო გაზდელიანი საუბრობს, რომ საქართველოს მთავარი პროკურორი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხდებოდა ზაზა სარალიძეს, თუ მასთან შევიდოდნენ მხოლოდ ზაზა სარალიძე და მისი ადვოკატი. მთავარი პროკურორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, არ ჰქონდათ უფლება გაცნობოდნენ საქმის მასალებს.

- მაგდა კაპანაძე მთავარი პროკურორიდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა
- ზვიად კუპავა "სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის" ხელმძღვანელი.
- ალეკო ცქიტიშვილი "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ხელმძღვანელი.
- ზაზა სარალიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 7 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 4*

ტელეკომპანია იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 20:29 წუთზე გავიდა 5 წუთიანი რეპორტაჟი სადაც ზაზა სარალიძე საუბრობს კითხვებზე რაც ირაკლი შოთაძეს უნდა დაუსვას. პროკურატურის ტერიტორიიდან ჟურნალისტი აცხადებს რომ ზაზა სარალიძე ამწუთებში შენობაში იმყოფება და შეხვედრის დეტალები, მას შემდეგ ეცოდინება როდესაც ის შენობას დატოვებს. (ქრონიკა 20:00 25.05.2018 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი; https://bit.ly/2S7Ghix)

25 მაისის ქრონიკის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში **არ** ჩანს რომ შეხვედრა ჩაიშალა, ვინაიდან გადაცემის ჩაწერა წინ უსწრებდა განვითარებულ მოვლენებს.

**პირველი რეპორტაჟი:** მარიამ ქართველიშილი ჟურნალისტი

- ზაზა სარალიძე
- ალეკო ცქიტიშვილი "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ხელმძღვანელი.

- ინგა შარაძენიძე, ადვოკატი
- ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი
- ზვიად ფხაკაძე, პროკურორი

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 5 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 5*

აქვე გავაგრძელოთ 26 მაისის ქრონიკით და ვნახოთ როგორ აისახა 25 მაისს განვითარებული მოვლენები მომდევნო დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში.

26 მაისს ტელეკომპანია იმედის მთავარ საინფორმაციო გადაცემაში არ გაშუქებულა სარალიძის საქმე (მთელი გადაცემა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებების გაშუქებას დაეთმო)

**პირველი რეპორტაჟი:** თეონა ხუბულავა (ჟურნალისტი) რატომ არ შედგა დავიკთ სარალიძისა და მთავარი პროკურორის შეხვედრა? პროკურატურის განმარტებით სარალიძის თანმხლებ პირებს არ ჰქონდათ საადვოკატო საქმიანობის უფლება, ამიტომ არშეიძლებოდა ისინი გაცნობოდნენ საქმის მასალებს. ჩაშლილი შეხვებრიდ დეტალები კურიერისა და მოამბის ინფორმაცია ერთმანეთს ემთხვევა. (მოამბე 21:00 25.05.2018 წამყვანები:თამთა სანიკიძე და რატი ხვისტანი; https://bit.ly/2XCIB7o )

- ზაზა სარალიძე
- მალხაზ კაპანაძე
- ტარიელ კაკაბაძე
- ზვიად ფხაკაძე პროკურორი
- ნათია საყვარელიძე (მოკლულის დედა)

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 4 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟიწყარო: 5*

**25.05.2018**










. . .

**26.05.2018** ტელეკომპანია იმედის და ტელეკომპანია პირველი არხის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები მთლიანად დაეღმო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანი იყო 27 მაისი. ამ დღეს დაიკითხა დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. მისი აზრით საქმეში კიდე ერთი იარაღი მაკრატელი ფიგურირებს. თუმცა მოხდა თუ არა მაკრატლით დავით სარალიძის მოკვლა უცნობია. პროკურატურაში განმარტავენ რომ მაკრატელი ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ექიმებს დარჩათ. ტელეკომპანია რუსთავი ორმა ეთერში გაუშვა **აუდიოჩანაწერი,** რომელშიც ისმის დამოუკიდებელი ექსპერტის დაკითხვისას სასამართლოში მიმდინარე ხმაური და დაპირისპირება. ეს აუდიოჩანაწერი არც პირველი არხის და არ ტელეკომპანია იმედის ეთერში **არ** გასულა.

ამავე დღეს  პარლამენტის წინ მიმდინარეობს ძიუდოისტთა აქცია, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის, დავით ქევხიშვილის  გადადგომის მიზნით.

- რუსთავი ორი:  აცხადებს რომ ძიუროისტები შეუერთდებიან ზაზა სარალიძის დაანონსებულ აქციას. ასევე სარალიძის  მხარდასაჭერად საგანგებოდ ჩამოვიდა, მალხაზ მაჩალიკაშვილი პანკისიდან.
- პირველი არხი: აცხადებს რომ ძიუდოისტები შეუერთდებიან ზაზა სარალიძის აქციას, მაგრამ არ საუბრობს მალხაზ მაჩალიკაშვილზე.
- იმედი: **არ** ავრცელებს ინფორმაციას ზაზა სარალიძის აქციის შესახებ.

27 მაისის საპროტესტო აქციაზე. გარდაცვლილი დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად უამრავლა ადამიანმა მოიყარა თავი. მათშორის ცნობილმა ადამიანებმა, უბრალო მოქალაქეება, პოლიტიკოსებმა. ისინი სამართლიანობის აღდგენას და საქმის  სამართლიან გამოძიებას მოითხოვდნენ.

31 მაისს, თითქმის ოთხთვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, ხორავას ქუჩის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა.

სასამართლომ გ.ბ დამნაშავედ ცნო ლევან დადუნაშვილის განზრახ, წინასწარი შეცნობით მკვლელობაში და მას 10 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლის გადაწყვეტილებითვე, გ.ჯ დამნაშავედ იქნა ცნობილი დავით სარალიძის დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის მცდელობაში და 9 წლით და 9 თვით პატიმრობა მიესაჯა. პროკურატურა ორივე არასრულწლოვანს ბრალს სდებდა ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში, თუმცა, მოსამართლემ ბრალდების მხარის პოზიცია არ გაიზიარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ განაჩენის შესაბამისად, უცნობი დარჩა ვინ მოკლა დავით სარალიძე. („რადიო თავისუფლება“ , ნინო თარხნიშვილი, https://bit.ly/2XqttWk )

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ეკა არეშიძის განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში თითქმის ერთ წელს გაგრძელდა.

სასამართლოს განაჩენის გამოცხადებას თბილისში მოჰყვა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მთარობის გადადგომის მოთხოვნით. მთავრობა არ გადადგა, მაგრამ გადადგა პროკურორი ირაკლი შოთაძე. ***„დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჩვენს ქვეყანაში გაგრძელდება და ბოლომდე მივა. რადგან მინდა გკეროდეთ იმისა, რასაც ვამბობ, დღეს ვტოვებ ჩემს თანამდებობას და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება სრულად აღსრულდება“,*** - ეს განცხადება ირაკლი შოთაძემ 31 მაისს გამოაქვეყნა. (პირველი არხი, https://bit.ly/30r0liS )

31 მაისსვე, პარლამენტის სხდომაზე, დეპუტატებმა კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, რომ მოზარდების მკვლელობის საქმე საპარლამენტო კომისიას უნდა გამოეძიებინა.

31.05.2018

## საიტზე ძიების რეზულტატი

1.




2.




3.



31.05.2018

## სისტემა უნდა დაინგრეს!

31 მაისის მნიშვნელობა, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეში ძალიან დიდია. სწორედ ამ დღეს გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი. ამ დღეს გადადგა მთავარი პროკურორი, ირაკლი შოთაძე და ამ დღეს გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ.

ვნახოთ რას მიიჩნევენ პრიორიტეტულად, ჩენი საკვლევი საინფორმაციო გამოშვებები და რაზე გააკეთებენ აქცენტს 31 მაისის მთავარ საინფორმაციო გამოშვების **ჟურნალისტის პირველ სიტყვაში.** შევადაროთ ერთმანეთს წამყვენების ტექსტები რომლითაც იწყება 31 მაისის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება.

*„საღამო მშვიდობისა, **წამზომი ჩართულია,** ხელისუფლებას ერთი საათი აქვს მოთხოვნების შესასრულებლად. მოკლული დავით სარალიძის ოჯახის გარშემო გაერთიანებული საზოგადოება, ყველა დამნაშავის დასჯას მოითხოვს. ამ წუთებში რუსთაველის გამზირზე ათასობით ადამიანი დგას. ძალადობრივი **სისტემა უნდა დაინგრეს!** დედაქალაქის მთავარ გამზირზე შეკრებილები, სამართალს ითხოვენ.“* (კურიერი 21:00, https://bit.ly/2G8nleL)

*„მთავარი პროკურორი **ირაკლი შოთაძე** თანამდებობიდან გადადგა. მისი ეს გადაწყვეტილება რამდენიმე წუთის წინ გახდა ცნობილი და განცხადება მთავარი პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ჩვენ ახლა პირდაპირ ეთარში წაგიკითხავთ ამ განცხადებას.“* განცხადებაში ირაკლი შოთაძე მიმართავს მოქალაქეებს რომ მხარი დაუჭირონ და ენდონ პროკურატურას, რომელიც კანონის სრული სიმკაცრით დასჯის დამნაშავეებს. მინდა პირადად მივმართო ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების მშობლებს: „მე ვიყავი და ვარ თქვენს გვერდით. როგორც ქვეყნის მთავარ პროკურორს და როგორც მამას, არც თანამდებობა მიღირს თქვენი შვილის სიცოცხლედ და არც არაფერი სხვა. მინდა, იცოდეთ, რომ ყველაფერი გავაკეთე, რათა დამნაშავეებს პასუხი ეგოთ... დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უწყება გააგრძელებს განვითარებას და უდიდეს როლს

შეასრულებს განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. “ *( https://bit.ly/3258pr9 წამყვანი, 2 წუთი და 47 წამის განმავლობაში სრულად კითხულობს ირაკლი შოთაძის განცხადებას)* (ქრონიკა 20:00, https://bit.ly/2JvdHVT )

*„ხორავას ქუჩის საქმეზე გამოტანილი განაჩენი საპროტესტო აქციების მიზეზი ხდება.ზაზა სარალიძისთვის მთავარი პროკურორის გადადგომა საკმარისი არ არის, რის გამოც მთავარი პროკურატურიდან აქცია უკვე პარლამენტთან ინაცვლებს. სარალიძე მიმდინარე გამოძიებას სრულ უნდობლობას უცხადებს და ითხოვს დაისაჯოს მისი შვილის მკვლელობაში მონაწილე სხვა პირები, რომლებსაც, მისივე თქმით გამოძიება ამ დრომდე ხელს აფარებს. მოკლული მოზარდის მამა შოთაძის უწყებას, მტკიცებულებების განადგურებაშიც ადანაშაულებს. აქციაზე მოქალაქეებთან ერთად* ***ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც იმყოფებიან.“*** (მოამბე 21:00, https://bit.ly/30oP5Uf )

*საინფორმაციო გადაცემა ქრონიკაში, წამყვანის შესავალ სიტყვაში,* საუბარია მხოლოდ ირაკლი შოთაძეზე. ყურადღება არ მახილდება მიმდინარე აქციასა და აქციის მონაწილეთა მოთხოვნებზე.

საინფორმაციო გადაცემა კურიერი ხელისუფლებისადმი მიმართვით იწყება ***„წამზომი ჩართულია, ხელისუფლებას ზუსტად ერთი საათი აქვს დრო მოთხოვნების შესასრულებლად“*** სწორედ აქ ვლინდება **ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპი** რომ მედია არის შუამავალი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. სწორედ საზოგადოების მთავარ მესიჯს აწვდის ამ შემთხვევაში მედია ხელისუფლებას. რასაც არ აკეთებს არც ერთი სხვა ტელევიზია (ჩვენი კვლევის ობიექტი). ამ სიტყვაში ჟღერდება მოწოდება “სისტემა უნდა დაინგრეს“ მაგრამ **არ არის** ნახსენები რომ აქციაზე **ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც იმყოფებიან** , რაც გვაფიქრებინებს რომ ეს სიტყვები ისმის არა პოლიტიკოსებისგან, არამედ აქციის მონაწილე უბრალო ადამიანებისგან.

მოამბის ტექსტში წამყვანის მიმართვაში აქცენტი კეთდება იმ მიზეზებზე, რამაც ზაზა სარალიძე საპროტესტო აქციებზე გამოიყვანა. იმ ბრალდებებზე რაშიც ზაზა სარალიძე პროკურატურას ადანაშაულებს. და ბოლოს წამყვანი ამბობს რომ აქციაზე **ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც იმყოფებიან** ე.ი აქცია პოლიტიკურ შინაარსს ატარებს.

31.05.2018

ა ქ ც ი ა

(კურიერი 21:00 31.05.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა, https://bit.ly/2G8nleL)

**პირველი რეპორტაჟი:** ჟურნალისტი ეკო მაღრაძე  უშუალოდ აქციიდან ერთვება, პარალელურად ისმის გამომსვლელთა ხმა. აქციაზე ჟღერდება იმ მაღალჩინოსნების სახელები და გვარები რომლებიც პასუხისგებაში უნდა მიეცნენ.  ასევე მთავარი მოთხოვნაა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა მირზა სუბელიანის წინააღმდეგ. (ზვიად კუპრავას სიტყვით გამოსვლის ფონზე)

**მეორე რეპორტაჟი** პროკურატურიდან: განაჩენის მოლოდინში მყოფ დავით სარალიძის გვერდით დღეს პირელად გამოჩნდა მისი მეუღლე.

სასამართლო გადაწყვეტილებამ დღეს  კიდევ ერთხელ დაადასტურა ის რასაც დავით სარალიძე თვეებია ამტკიცებდა. ორი არასრულწლონიდან, რომელიც პროკურატურამ დავით სარალიძის მკვლელობის ბრალდებით დააკავა, სარალიძის მკვლელი არცერთი არ არის.

პროკურატურასთან მივიდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები და სოლიდარობა გამოუცხადეს ზაზა სარალიძეს.

- ზაალ უდუმაშვილი „ერთიანი ნაც.მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი
- გიგი უგულავა „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი
- გიორგი ვაშაძე
- შალვა ნათელაშვილი
- ნინო ბურჯანაძე
- გუბაზ სანიკიძე
- კახა კუკავა

- დავით უსუფაშვილი
- ნიკა გვარამია
- მალხაზ მაჩალიკაშვილი

**მესამე რეპორტაჟი** რომლის მთავარი კითხაა: ვინ მოკლა დავით სარალიძე? ადვოკატები საუბრობენ უსამართლო გამოძიებაზე.

- ნესტან ლონდარიძე (ზაზა სარალიძის ადვოკატი)
- ირაკლი ჩომახაშვილი ადვოკატი
- ტარიელ კაკაბაძე
- ინგა შარაშენიძე
- მარიამ გოგოხია პროკურორი

**მეოთხე რეპორტაჟი:** გზა პროკურატურიდან პარლამენტის შენობამდე რეპორტაჟში ნაჩვენებია როგორ მიდის ასობით ადამიანი პარლამენტის შენობისკენ. შეძახილებით. ისინი თანამოქალაქეებს მოუწოდებენ გამოვიდნენ და შეუეთდნენ აქციას.

**მეხუთე რეპორტაჟში** საუბარია ირაკლი შოთაძეის მიერ თანამდებობის დატოვებაზე გაშუქდა შოთაძის ბრიფინგი.

**მეექვსე რეპორტაჟში** წამყვანი კითხულობს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, ბიზნესმენი ამბობს რომ წუხს ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამო. მისი თქმით თუ პროკურატურის მუშაობა საეჭვო იყო, მთავარმა პროკურორმა დღეს მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება და ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა.

აქვე გაჟღერდება საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადება სადაც ის ამბობს რომ ერთადერთი დამნაშავე ამ მოვლენებში არის ბიძინა ივანიშვილი, რადგან მთელი ხელისუფლება ემსახურება ბიძინა ივანიშვილს.

**მეშვიდე რეპორტაჟი** ქუთაისის პარლამენტიდან, ჟურნალისტი ნინო სამყურაშვილი მინისტრებს ეკითხება ვინ შეცვლის ირაკლი შოთაძეს. ირაკლი კობახიძე მადლობას

უხდის ირაკლი შოთაძეს მიღებული გადაწყვეტილების გამო. მისი თქმით, სანდრო გირგვლიანის და ირინა ენუქიძის მკვლელები არ უნდა იდგნენ აქციაზე. კობახიძე ოპოზიციას მოუწოდებს რომ ბავშვების ტრაგედია არ გამოიყენონ პოლიტიკური ქულების დასაწერად.

- ირაკლი კობახიძე
- ზაზა გაბუნია
- ეკა ბესელია

**მერვე რეპორტაჟში** ნაჩვენებია მოკლული მოზარდების მეგობრები, კლასელები. რომლებიც საუბრობენ უსამართლობასა და დაუცველობის განცდაზე.

პარლამენტშან მიდის მაკა ჩიჩუა და ანა მარგველაშვილი, ისისნი სოლიდარობას უცხადებენ აქციის მონაწილეებს.

- მაკა ჩიჩუა
- ანა მარგველაშვილი
- გია ბუღაძე
- მაია ბარათაშვილი
- თაკო ჩარკვიაანი
- ზვიად რატიანი

**მეცხრე რეპორტაჟში** მთავარი საინფორმაციო გამოშვება იწურება წუთიერი დუმილის ფონზე, რითაც აქციის მონაწილეებმა პატივი მიაგეს, გარდაცვლილი მოზარდების ხსოვნას.

***ინფორმაციის ხანგრძლივობა: 60 წუთი***

***ჟურნალისტების რაოდენობა: 9 რეპორტაჟი***

***წყარო: 24 (მინიმუმ)***

ტელეკომპანია იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მთავარ თემას ლევან შოთაძის გადადგომა წარმოადგენს. (ქრონიკა 20:00 31.05.2018 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი,*https://bit.ly/3258pr9*)

**პირველი რეპორტაჟი:** ქრონიკა იწყება ლევან შოთაძის გადადგომის თემით. ჟურნალისტი აუდიტორიას აცნობს მთავარი პროკურორის გადადგომის შესახებ განცხადებას.

**მეორე რეპორტაჟი:** საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკა არეშიძემ ერთი ბრალდებული ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში გაამართლა, თუმცა მოუხსნა დავით სარალიძის მკვლელობისთვის წაყენებული ბრალი.ხოლო მეორე მოზარდი, რომელიც ბრალდებულია დავით სარალიძის მკვლეობისათვის, მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა და ახლა მას არა განზრახ მკვლელობას, არამედ განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავებიან.

ჟურნალისტი ლევან კვატაშიძე ერთვება პროკურატურიდან, ვისმენთ ზაზა სარალიძისა და ზვიად კუპრავას განცხადებებს რომლებიც მოითხოვენ შოთაძისა და სხვა მაღალჩინოსნების დაკავებას. და სისტემის ნგრევას. ჟურნალისტი აცხადებს რომ აქციაზე გამოჩნდა **ნიკა გვარამია** რასაც აქციის ერთი ნაწილი უარყოფითად შეხდა. აქციის მონაწილე ერთ-ერთი ქალბატონი აცხადებდა რომ ადამიანები რომლებსაც ხელები სისხლიანი აქთ არ უნდა იდგნენ სარალიძის გვერდით. კადრში ჩანს ნიკა გვარამია, რომელიც **სიტყვიერ შეურაწყოფას** აყენებს ამ ქალბატონს და სუსის აგენტსა და ბიძინას მოსყიდულს უწოდებს. ამ ქალბატონს უცნობი მამაკაცი ფიზიკური ძალით გაიყვანს მოვლენების ეპიცენტრიდან და მოუწოდებს რომ დატოვოს აქცია.

ამ დაპირისპირების ამსახველი კადრები **არ** გასულა ტელეკომპანია **რუსთავი ორის ეთერში.** რუსთავი ორმა მხოლოდ საკმაოდ აღელვებული ნიკა გვარამიას, სიტყვით გამოსვლა გააშუქა.

- ზვიად კუპრავა
- ზაზა სარალიძე

**მესამე რეპორტაჟში** ნაჩვენებია როგორ ვითარდებოდა მოვლენები მთელი დღის განმავლობაში. **ვინ მოკლა ჩემი შვილი?** ეს იყო მთავარი კითხვა, მოკლული მოზარდი

მამის. **„სისტემა დამეჯახა, ამ სისტემას ქართველი ხალხის გვერდში დგომით დავანგრევ.** ყველა შვილმოკლულ მშობელს ვთხოვ შემომიერთდეს“

ნათია საყვარელიძე, ლევან დადუნაშვილის დედა, აცხაებს, რომ დავით სარალიძის მკვლელობაში აუცილებლად უნდა დაისაჯოს დამნაშავე.

- ეკა მაჭარაშვილი ადვოკატი
- ინგა შარაშენიძე ადვოკატი
- ტარიელ კაკაბაძე
- მარიამ გოგოხია პროკურორი

**მეოთხე რეპორტაჟში** წამყვანი კითხულობს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას „ხორავას ქუჩის ტრაგედიამ მეც ისევე შემზარა როგორც მთელი ქართული საზოგადოება...“

**მეხუთე რეპორტაჟში:** ჟურნალისტი ქეთი ლაცაბიძე ირაკლი შოთაძის ბრიფინგს მიმოიხილავს. ირაკლი შოთაძე საუბრობს დამატებით დახმარებაზე. კერძოდ შვეიცარიელი ექსპერტების დახმარებაზე. თუმცა რუსთავი ორზე გასულ ამა ნიუსს კრიტიკა მოჰყვა შემდეგი შეკითხვით დაგვიანებული ხომ არ არის ეს ექსპერტიზა?

**მეექვსე რეპორტაჟში,** ჟურნალისტი კითხულობს, თეა წულიკიანის განცხადება, რომელიც მან ფეისბუქით გაავრცელა, იუსტიციის მინისტრი ამბობს რომ ირაკლი შოთაძის გადადგომას არ ეთანხმება რადგან ის იყო ღირსეული ადამიანი და ის ენდოპა საქართველოს პროკურატურას.

**მეშვიდე რეპორტაჟი:** აუბარია პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე.

- ირაკლი კობახიძე
- სერგი კაპანაძე
- თეა წულუკიანი
- ნინო ლომჯარია

- სალომე ზურაბიშვილი

**სტუმარი:** ირაკლი კობახიძე პასუხობს ქრონიკის კითხვებს.ირაკლი კობახიძე ამბობს რომ ირინა ენუქიძისა და სანდრო გვირგვლიანის მკვლელები არ უნდა იდგნენ ზაზა სარალიძის გვერდით და ამ ტრაგედიიდან არ უნდა დაიწერონ **პოლიტიკური ქულები.**

***ინფორმაციის ხანგრძლივობა: 50 წუთი***

***ჟურნალისტების რაოდენობა: 8 რეპორტაჟი***

***წყარო: 12 (მინიმუმ)***

ტელეკომპანია პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება (მოამზე 21:00 31.05.2018 წამყვანები:თამთა სანიკიძე და რატი ხვისტანი, https://bit.ly/2JvdHVT )

**პირველ რეპორტაჟში:** გიორგი კობერიძე ჟურნალისტი უშუალოდ აქციიდან ერთვება, პარალელურად ისმის გამომსვლელთა ხმა. აქციაზე ჟღერდება იმ მაღალჩინოსნების სახელები და გვარები რომლებიც პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას დრო მისეცს ათ საათამდე.

- ზაზა სარალიძე სიტყვით მიმართავს საზოგადოებას
- ზვიად კუპრავა სიტყვით მიმართავს საზოგადოებას
- მალხაზ მაჩალიკაშვილი სიტყვით მიმართას საზოგადოებას.
- ლევან ბეჟაშვილი
- კახა კოჟორიძე

**მეორე რეპორტაჟში:** ლიკა ალელიშვილი საუბრობს ირაკლი შოთაძე გადადგომასთან დაკავშირებით. ჟურნალისტი კითხულობს შოთაძის განცხადებას. რეპორტაჟში სჩანს

განაჩენის გამოტანის შემდეგ საქალაქო სასამართლოში გადაღებული კადრები. ამის შემდეგ ზაზა სარალიძემ და მისმა მხარდამჭერებმა გადაინაცვლეს პროკურატურასთან.

- გიგი უგულავა
- დავით უსუფაშვილი
- ანა დოლიძე
- ანა ნაცვლიშვილი
- ნინო ლომჯარია
- სალომე ზურაბიშვილი
- რომან გოცირიძე
- ელენე ხოშტარია

**მესამე რეპორტაჟში** საუბარია განაჩენზე: საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკა არეშიძემ ერთი ბრალდებული ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში გაამართლა, თუმცა მოუხსნა დავით სარალიძის მკვლელობისთვის წაყენებული ბრალი.ხოლო მეორე მოზარდი, რომელიც ბრალდებულია დავით სარალიძის მკვლეობისათვის, მისი დანაშაული გადაკვალიფიცირდა და ახლა მას არა განზრახ მკვლელობას, არამედ განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავებიან.

ექვს თვიანი გამოძიების შემდეგ უპასუხოდ დარჩა კითხვა ვინ მიაყენა 12 ჭრილობა და ვინ მოკლა დავით სარალიძე!

- იზო მაღლაკელიძე
- ირაკლი ჩომახაშვილი
- ინგა შარაშენიძე
- მარიკა გოგოხია

**მეოთხე რეპორტაჟში** ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი ირაკლი შოთაძის გადადგომის შეფასებებზე გვესაუბრება

- სერგი კაპანაძე
- ეკა ბესელია
- რომან კაკულია
- სალომე ზურაბიშვილი
- ირაკლი კობახიძე

**მეხუთე რეპორტაჟი** ეხება საგამოძიებო კომისიის შექმნას.

- სერგი კაპანაძე
- ელენე ხოშტარია
- ეკა ბესელია
- არჩილ თალაკვაძე
- რომან გოცირიძე
- ირაკლი კობახიძე
- სალომე სამადაშვილი

**მეექვსე რეპორტაჟი:** ბიძინა ივანიშვილის განცხადება

**მეშვიდე რეპორტაჟ:** რეგიონებში გაიმართა აქცია ლოზუნგით „ნუ მომკლავ“

***ინფორმაციის ხანგრძლივობა: 36 წუთი***

***ჟურნალისტების რაოდენობა: 7 რეპორტაჟი***

***წყარო: 19***

**31.05.2018**


70
60
50
40
30
20
10
0
პირველი არხი
იმედი
რუსთავი 2
დრო/წუთი


14
12
10
8
6
4
2
0
პირველი არხი
იმედი
რუსთავი 2
ჟურნალისტების რაოდენობა


30
25
20
15
10
5
0
პირველი არხი
იმედი
რუსთავი 2
წყაროთა რაოდენობა

## 01.06.2018

“2018 წლის პირველ ივნისს, ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე საქართველოს მთავარი პროკურატურისგან შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხელახალი გამოძიებისთვის გადაეცა.

შსს-ში გამოძიების დაწყებას მთავრობის მხრიდან მოტყუების კიდევ ერთ მცდელობად აფასებდა დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე.

რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ კარვები გაიშალა. პარლამენტთან მივიდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. პარლამენტის წინ მის გამოჩენას, საზოგადოება ყვირილით და პლასტმასის ბოთლების სროლით შეხვდა.

პარლამენტის წინ გაშლილ კარავში მივიდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც.

შეიქმნა მოძრაობა „ნუ მომკლავ“. აქციას შეუერთდა პანკისის ხეობაში სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილიც.

ზაზა სარალიძის მხარდამჭერი აქციები საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქში გაიმართა. ( https://bit.ly/2VWJmmv )

## ხორავას ქუჩის საქმის საგამოძიებო კომისია - ორი დასკვნა

2018 წლის 7 ივნისს, მუშაობა დაიწყო ხორავას ქუჩაზე ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შესასწავლად პარლამენტის მიერ შექმნილმა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ. კომისიას სათავეში ჩაუდგა „ევროპული საქართველოს“ წევრი სერგი კაპანაძე.

17 წევრიან კომისიაში საპარლამენტო უმცირესობიდან მუშაობდა: ოთარ კახიძე, ელენე ხოშტარია, ოთარ აბესაძე, სერგო რატიანი, ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ჩიქოვანი, გიგა

ბოკერია და ირმა ნადირაშვილი. უმრავლესობიდან კი არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ეკა ბესელია, ანრი ოხანაშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი და სოფიო კილაძე. ფრაქციიდან "საქართველოს პატრიოტები" კომისიის წევრი იყო ადა მარშანია. საგამოძიებო კომისიაში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

მოკლული მოზარდების მშობლების, საქმის პროკურორის, მოწმეების გამოკითხვის შემდეგ, საგამოძიებო კომისიამ რეკომენდაციები გამოსცა, რომლის თანახმადაც, უნდა დაწყებულიყო გამოძიება არასრულწლოვან გ.მ.-ს დაჭრის ფაქტზე, რაც არ იყო გამოძიებული და ასევე, უნდა დაწყებულიყო სამართლებრივი დევნა მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ, რომლის შემთხვევაშიც, კომისიის განცხადებით, იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, თუმცა გამოძიება ამ კუთხით არ მუშაობდა.

კომისიის მუშაობის პროცესს დაემთხვა ხორავას ქუჩის საქმეზე დაკითხული არასრულწლოვანი მოწმის დ.ღ-ს დაკავება. მას 2018 წლის ივლისში ბრალად წარედგინა ცრუ ჩვენების მიცემა. 2019 წლის 22 მაისს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ ის დამნაშავედ სცნო და პატიმრობის ვადად 2 წელი და 3 თვე მიუსაჯა.

ხორავას ქუჩის საქმის დროებითმა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ საბოლოო დასკვნა 2018 წლის 5 სექტემბერს, 9 ხმით 4-ის წინააღმდეგ დაამტკიცა. თუმცა, ეს იყო მხოლოდ „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებული დასკვნა, რომელსაც არ იზიარებდა და პოლიტიზებულად მიიჩნევდა მმართველი გუნდი, „ქართული ოცნება“ და მათ 5 სექტემბერს სხდომაზე დასკვნის საკუთარი ვერსია წარმოადგინეს.

„ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებული 78 გვერდიანი დასკვნისა და რეკომენდაციების ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო სისხლის სამართლებრივი დევნა მიხეილ კალანდიას მიმართ.

ამავე დასკვნის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა რეაგირება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელი მოხელეების/თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დარღვევებს. ასევე, კომისია ითხოვდა დაწყებულიყო გამოძიება ყოფილი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის ქმედებებზე. ერთ-ერთ რეკომენდაციაში,

ევროპული საქართველო მინისტრების: თეა წულუკიანისა და გიორგი გახარიას პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს.

რაც შეეხება „ქართულ ოცნების“ მიერ დაწერილ დასკვნას, მასში მითითებული იყო, რომ მაგალითად, გამოძიებას არ შეუფასებია დანაშაულთან ცალკეული პირების ამა თუ იმ ფორმით შესაძლო კავშირი; მირზა სუბელიანის, მისი შვილის, ცოლის დისა და მისი შვილის მიმართ არ ჩატარდა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები. მათ შორის არ გაიჩხრიკა მიხეილ კალანდიას სახლი; გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ნაწილი არ არის, ან დაგვიანებით არის ამოღებული. ასევე, არ დადგინდა ჩანაწერებში აღბეჭდილი ყველა პირის ვინაობა; არ ამოღებულა ჩხუბის გარკვეულ მონაწილეთა მობილური ტელეფონები და კომპიუტერები, აგრეთვე მათი მიმოწერა. არ განხორციელდა მათი სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა; საქმესთან დაკავშირებით შესაძლო ინფორმაციის მქონე ზოგიერთი პირი არ დაიკითხა ან დაიკითხა დაგვიანებით და სხვა.” (https://bit.ly/2JcvJMt „რადიო თავისუფლება“; „ხორავას ქუჩის საქმის 18-თვიანი ქრონიკა“)

## 26.10.2018

## ზაზა სარალიძე დააკავეს

**„მამა რომელიც შვილის მკვლელების დასჯას მოითხოვს შესაძლოა თავად აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა“** თითქმის ერთწლიანი პროტესტის შემდეგ ზაზა სარალიძე მაშინ დააკავეს, როდესაც ის მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად, წვიმისგან თავშესაფრის გაკეთებას ცდილობდა. პოლიციელებთან ამ დროს მომხდარი დაპირისპირების გამო სარალიძეს მათზე ძალადობას ედავებიან. დაკავების შემდეგ ზაზა სარალიძეს ჰოსპიტალიზება დასჭირდა.“ ( კურიერი 21:00 26.10.2018 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2JtKzhz )

**პირველი რეპორტაჟი:** ნინო გაზდელიანი პირდაპირი ჩართვით  კლინიკიდან სადაც ზაზა სარალიძეა. ჟურნალისტი საუბრობს ზაზა სარალიძის მდგომარეობაზე. თვითმხილველთა აზრით ფაქტის პროვოცირება სამართალდამცავებმა მოახდინეს. ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, ადგილი ჰქონდა პოლიციელებზე აშკარა თავდასხმას, ამიტომაც აუცილებელი გახდა სარალიძის დაკავება.  საავადმყოფოში ყოფნისას ზაზა სარალიძესთან შევიდა შსს-ს წარმომადგენელი, სარალიძის ადვოკატი და ოჯახისწევრები შიგნით არ შეუშვეს. ზაზა სარალიძის მოსანახულებლად მივიდა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, გრიგოლ ვაშაძეც.  ზაზა სარალიძის განთავისუფლებამდე პროტესტი რუსთაველის გამზირზე ზაზას დედამ გააგრძელა

- სარალიძის დედა
- მალხაზ მაჩალიკაშვილი
- ელისო კილაძე
- ნათია მეზვრიშვილი
- გიორგი ჩიტიძე იურისტი
- გრიგოლა ვაშაძე

**მეორე რეპორტაჟი:** მარიკა გოცირიძე  რუსთაველზე მიმდინარე აქციიდან. აქციის მონაწილეები სიტყვით გამოდიან  და ხელისუფლებას ზაზა სარალიძის განთავისუფლებას სთხოვენ.

- ზაზა სარალიძის დედა
- მალხაზ მაჩალიკაშვილი
- ნიკა რურუა
- დავით ბაქრაძე
- ბაია პატარაია
- ნინო დანელია

**მესამე რეპორტაჟში**  ნინო სამყურაშვილის საუბარობს  **ბიძინა** ივანიშვილის განცხადებაზე, სადაც ბიზნესმენი ზაზა სარალიძეს,  პოლიტიკურ თამაშში ადანაშაულებს. **„ზაზა სარალიძე რომ ადგილს უნახავს რუსთაველზე ნაც.მოძრაობას ეს ხომ ყველამ ვიცით...“** აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 17 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 3 რეპორტაჟი*

*წყარო: 12*

„ზაზა სარალიძემ ***პოლიციელს ჯერ ჯოხი თავში ჩაარტყა, ხოლო შემდეგ მას სასწრაფო დახმარების მანქანაში, ფიზიკურად გაუსწორდა***. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეები სარალიძის დაკავებას აპროტესტებენ.“(ქრონიკა 20:00 26.10.2018 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი, https://bit.ly/2XI6bja )

**პირველი რეპორტაჟი:** სანდრო გამსახურდია (ჟურნალისტი) საუბრობს რომ აქციაზე ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად, მივიდნენ სხადასხა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ხოლო ზაზა სარალიძის მიერ რკინის ხელკეტის ჩარტყმის გამო, პოლიციელი ტვინის შერყევით ერთ-ერთ საავადმყოფოშია მოთავსებული. დაზარალებული პოლიციელის მკურნალი ექიმის თქმით პოლიციელს ქალა ტვინის შერყევა აღენიშნებოდა. რეპორტაჟში კარგად ჩანს როგორ უსწორდება ფიზიკურად ზაზა სარალიძე პოლიციელს. ნათია მეზვრიშვილი ამბობს რომ ***პოლიციამ დავით სარალიძის კანონდარღვევებზე თვალი ძალიან ბევრჯერ დახუჭა***, მაგრამ ამჯერად არის ვიდეო მტკიცებულებები, რაც დავით სარალიძის დაკავებას ითვალისწინებს. დაკავებისას საჭირო გახდა სარალიძის ჰოსპიტალიზაცია. სარალიძის არყოფნისას, მის ნაცვლად აქციაზე ზაზა სარალიძის დედა იქნება. რეპორტაჟში აღნიშნულია რომ სამართალდამცავებთან ურთიერთობისას, ***აგრესიული იყო, მალხაზ მაჩალიკაშვილიც.***

- ნათია მეზვრიშვილი
- მალხაზ მაჩალიკაშვილი
- ზაზა სარალიძის დედა

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 8 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 3*

წამყვანი აცხადებს რომ  პარლამენტთან ზაზა სარალიძის მხარდამჭერი აქცია მიმდინარეობს. პოლიციელის თავდასხმაში დადანაშაულებიული დავით სარალიძე საადმყოფოშია, ხოლო  პოლიციელი ტვინისშერყევით კლინიკაშია მოთავსებული. ასევე გახდა საჭირო დაკავების შემდეგ ზაზა სარალიძის ჰოსპიტალიზაცია. (მოამზე 21:00 26.10.2018  წამყვანები:თამთა სანიკიძე და ნიკა მუკბანიანი,  https://bit.ly/30vzfap )

- ნესტან ლონდარიძე
- ნათია მეზვრიშვილი

1. პირდაპირი ჩართვა პარლამენტის შენობიდან სადაც ზაზა სარალიძის მხარდამჭერი აქცია იმართბოდა.

*ინფორმაციის ხანგრძლივობა:  5  წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 2 რეპორტაჟი*

*წყარო: 2*

. . .

შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება

1. **„მამა რომელიც შვილის მკვლელების დასჯას მოითხოვს შესაძლოა თავად აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა“**
2. „ზაზა სარალიძემ *პოლიციელს ჯერ ჯოხი თავში ჩაარტყა, ხოლო შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანაში, მას ფიზიკურად გაუსწორდა.*“

ეს ორი წინადადება ორი სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვების წამყვანის სიტყვის პირველი წინადადებაა. ორივე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვაებულია, როგორც ინფორმაციული, ისე ემოციური თვალსაზრისით. პირველი წინადადება სიბრალულს

აღძრავს ადამიანის მიმართ ვინც დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ შვილმოკლული მამაა და თავადაც გისოსებს მიღმა შეიძლება აღმოჩნდეს. ხოლო მეორე წინადადება აღწარს პირდაპირ დანაშაულს, რომ ზაზა სარალიძე ფიზიკურად გაუსწორდა პოლიციელს.

რუსთავი ორის სიუჟეტში ვუსმენთ თვითმხილველს რომელიც ამბობს რომ სარალიძეს უნდოდა წვიმისგან თავის დაცა და თავშესაფრის გაკეთება, პოლიციამ მას ამის უფლება არ მისცა. ხოლო ტელეკომპანია იმედის საინფორმაციო გამოშვება გვთავაზობს ინტერვიუს აქციის მონაწილისგან რომელიც ამბობს რომ ზაზა სარალიძე ფიზიკურად არ გასწორებია პოლიციელს, იქვე ჟურნალისტის სიტყვები, „მიუხედავად ვიდეო მტკიცებულებისა თვითმხილველი ცრუობს“

ასევე უნდა აღინიშნოს ბიძინა ივანიშვილის 26 ოქტომბრის ბრიფინგი.

რუსთავი ორმა ბრიფინგის გაშუქება დაიწყო ივანიშვილის იმ სიტყვებით როდესაც ის ზაზა სარალიძეს **პოლიტიკურ თამაშში** ადანაშაულებს.

ხოლო ტელეკომპანია იმედის მიერ გაშუქებულ ივანიშვილის ბრიფინგში საერთოდ არარის ის ნაწილი, სადაც ბიზნესმენი სარალიძეზე აკეთებს აქცენტს.

ასევე ტელეკომპანია იმედმა არ გააშუქა პირდაპირ ეთარში პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქცია. ეთერში გავიდა მხოლოდ დაპირისპირების ამსახველი ჩანაწერები.

რაც შეეხება ტელეკომპანია პირველ არხს. პირველმა არხმა მხოლოდ ფაქტებზე ისაუბრა და სხვა სახის შეფასებები 5 წუთიან მიმოხილვაში არ ჩანს.

**26.10.2018**









## 03.06.2019

2019 წლის 3 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 31 მაისს გამოტანილი განაჩენი და მსჯავრდებული გ.ჯ. დამნაშავედ ცნო დავით სარალიძის ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში. მას 11 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. („რადიო თავისუფლება“, „ხორავას ქუჩის საქმის 18 თვიანი ქრონიკა“ ნინო თარხიშვილი, https://bit.ly/2XqttWk

3 ივნისს, კურის წამყვანმა აქცენტი გააკეთა იმაზე რომ საქმე ბოლომდე გამოძიებული არ არის. ხოლო ქვემოთ ვნახავთ, იგივე ფაქტზე დაყრდნობით, ქრონიკის ჟურნალისტი იტყვის, სამართლიანობის მისაღწევად ეს შედეგი დიდი წინგადადგმული ნაბიჯია.

„სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც ამბობს რომ ბოლო დროის ყველაზე რეზონანსული საქმე სათანადოდ **გამოძიებული არ არის.“** სასამართლომ დაადგინა, რომ დათუნა სარალიძე ჯგუფურად მოკლეს, მაგრამ ამდრომდე მის მკვლელობაში, მხოლოდ

ერთი პირია დაკავებული.(კურიერი 21:00 03.06.2019 წამყვანები: პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2NIKQBp )

**პირველი რეპორტაჟი:** ნათია ტრაპაიძე პასუხობს შეკითხვას, ამიერიდან რა სამართლებრივი გაგრძელება შეიძლება მოყვეს, ხორავას ქუჩის სკანდალურ საქმეს. ჟურნალისტი ამბობს რომ გაგრძელება იქნება, ის როდესაც დადგინდება იმ პირთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ დათუნა სარალიძის მკვლელობაში. ზაზა სარალიძის განცხადებით, ეს იყო სამართლიანობის აღდგენის პირველი უდიდესი ნაბიჯი. ადვოკატი ტარიელ კაკაბაძრ ამბობს, პირები ვინც მოკლა დათუნა სარალიძე არიან გარეთ და მათი დანაშაული უნდათ რომ გ.ჯ-ს გადააბრალონ. კაკაბაძე ამბობს რომ დანა რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს ჰქოდა არ იყო დათუნა სარალიძის სიკვდილის გამომწვევი. კაკაბაძე აცხადებს რომ მიხეილ კალანდია არის ცრუ მოწმე და ის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. **შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარიას თქმით, დანაშაულის გამოძიება, რომელიც არასრულწლოვანს ეხება, შესაძლოა წლობით გაგრძელდეს.**

- ნინო სანდოძე
- ტარიელ კაკაბაძე
- რამაზ ჩინჩალაძე
- თორნიკე ნადირაძე
- ვლადიმერ ბორცვაძე
- სერგი კაპანაძე
- ნინო ლომჯარია (განცხადება)
- ნესტან ლონდარიძე

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 13 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 9*

ტელეკომპანია იმედის, დღის მავარი საინფორმაციო გამოშვება, ზაზა სარალიძის სიტყვებით დაიწყო. წინამდებარე კვლევაში ჩანს, ხორავას ქუჩის საქმის ფაქტები რომლებიც არ გააშუქა ტელეკომპანია იმედმა. მაშინაც კი როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და ტელეკომპანია „პირველი არხი“ სარალიძის მიერ დაანონსებული აქციების შესახებ, აუდიტორიას ინფორმაციას აწვდიდა, ტელეკომპანია იმედი დუმდა. ტელეკომპანიამ არ გააშუქა თავის დროზე არც მთავარი მტკიცებულებების განადგურების ფაქტი. 3 ივნისს კი გადაცემა ზაზა სარალიძის სიტყვებით დაიწყო.

„ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ მკვლელობის გამოძიებაზე, **სამართლიანობის აღდგენა უკვე დაწყებულია,** ასე ფიქრობს დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე. სასამართლომ ერთ ერთი არასრულწლოვანი დამნაშავედ ცნო დავით სარალიძის მკვლელობაში ჯგუფურად, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად.“

ზაზა სარალიძე სიმართლის საბოლოოდ დასადგენად ბრძოლის გაგრძელებას გეგმავს. მანამდე კი **პოლიტიკურ პარტიებს ურჩევს, მისი ტრაგედია საკუთარი მიზნებისთვის არ გამოიყენონ.** („ქრონიკა 20:00 03.06.2019 წამყვენები ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი https://bit.ly/2G5V6NZ )

**პირველი რეპორტაჟი:** სანდრო გამსახურდია საუბრობს სასამართლო პროცესსა და ადვოკატთა შეფასებებზე.

- ზაზა სარალიძე
- ნინო სანდოძე
- რამაზ ჩინჩალაძე
- ტარიელ კაკაბაძე
- თორნიკე ნადირაძე
- ვლადიმერ ბოცვაძე

**მეორე რეპორტაჟი:** ხორავას საქმის გამოძიებას შინაგან საქმეთა მინისტრმა **პირადი გამოწვევა** უწოდა.

ჟურნალისტი სოფო ბერიძე საუბრობს პოლიტიკოსების შეფასებებზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია გიორგი გახარიას განცხადება როდესაც ის ამბობს, რომ ამ საქმის გამოძიება მისთვის **ღირსების ამოცანაა.**

- სერგი კაპანაძე
- სერგო რატიანი
- გიორგი ვოლსკი
- სოფიო კილაძე
- თამთა მეგრელიშვილი
- თამარ მახარობლიძე
- ნინო ლომჯარია (განცხადება)

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 15 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 2 რეპორტაჟი*

*წყარო: 13*

3 ივნისს, ხორავას ქუჩის საქმეში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო მოამბის მთავარი თემაც. გ.ჯ რომელიც შარშან დავით სარალიძის მკვლელობის მცდელობაში ცნეს დამნაშავედ, ახლა სარალიძის ჯგუფურად მკვლელობაშია მსჯარდებული. მას 11 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თუმცა უპასუხოდ რჩება კითხვა ვინ არიან ის პირები, რომლებიც დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლელობაში მონაწილეობდნენ. (მოამბე 21:00 03.06.2019 წამყვანები:თამთა სანიკიძე და ნიკა მუკბანიანი https://bit.ly/32iFIXL )

**პირველი რეპორტაჟი:** ზაზა სარალიძე ამბობს, რომ მას პირველად გაუჩნდა იმის შეგრძნება, რომ სამართალმა უნდა იზეიმოს. ზაზა სარალიძე მოუწოდებს ყველას, **თავი შეიკავოს მისი შვილით პოლიტიკური სპეკულაციებისგან**. (იყო დრო, სარალიძე ამბობდა, 31.05.2018 წ. ***„სისტემა დამეჯახა, ამ სისტემას ქართველი ხალხის გვერდში დგომით დავანგრევ.*** ) ამავე დღეს განცხადება გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. სამინისტროში განმარტავენ რომ ჯგუფურ მკვლელობაში მონაწილე პირთა დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.

- ნესტან ლონდარიძე
- ტარიელ კაკაბაძე

- რამაზ ჩინჩალაძე
- თორნიკე ნადირაძე
- ვლადიმერ ბორცვაძე
- გიორგი ბურჯანაძე
- დავით მათიკაშვილი

*ინფორმაციის ხანგრძლივობა: 9 წუთი*

*ჟურნალისტების რაოდენობა: 1 რეპორტაჟი*

*წყარო: 8*

03.06.2019









. . .

შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება

1. „სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც ამბობს რომ ბოლო დროის ყველაზე რეზონანსული საქმე სათანადოდ **გამოძიებული არ არის.“**

2. „ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ მკვლელობის გამოძიებაზე, **სამართლიანობის აღდგენა უკვე დაწყებულია,** ასე ფიქრობს დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე.“

პირველი წინადადება, ტელეკომპანია რუსთავი ორის, მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვენის პირელი სიტყვაა. რომელიც ამბობს რომ ბოლო დროის ყველაზე რეზონანსული საქმე სათანადოდ გამოძიებული არ არის, რადგან ამდრომდე დაუდგენელია, ვინ მიაყენა, 16 წლის მოზარდს, 12 ჭრილობა.

მეორე წინადადება, ტელეკომპანია იმედია, მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანის საწყისი სიტყვაა. რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებს ზაზა სარალიძის ნათქვამს. რომელიც განაჩენით ბოლომდე კმაყოფილი არ არის, მაგრამ სამართლიანობის აღდგენისკენ დაგადგმულ დიდ ნაბიჯად აფასებს, 3 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

**ორივე წინადადება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. პირველი წინადადება, მონეტის ერთი მხარეა, მეორე წინადადება კი მონეტის, მეორე მხარე.**

2019 წლის 3 ივნისს, ზაზა სარალიძის მიერ გაკეთებულ კომენტარში, იყო განცხადება, რომელიც ტელეკომპანია „**რუსთავი 2-მა" ეთერში არ გაუშვა.** ეს განცხადება ქრონიკის წამყვანმა გადაცემის დაწყებისთანავე, თავის პირველ სიტყვაში გააჟღერა. განცხადება გაავრცელა ტელეკომპანია პირველმა არხმაც.

**„მოვუწოდებ ყველა ადამიანს, რომ თავი შეიკავონ, ჩემი შვილის და ჩემი ოჯახის, პოლიტიკურად გამოყენებისა და სპეკულაციებისაგან"**

ასე შეიცვალა შვილმოკლული მამის, ზაზა სარალიძის ბრძოლის ტაქტიკა. შეიცვალა რადგან ყველას გვახსოვს 31.05.2018 წელს ზაზა სარალიძის ხმაურიანი სიტყვა:

**„სისტემა დამეჯახა, ამ სისტემას ქართველი ხალხის გვერდში დგომით დავანგრევ!"**

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრი როლს 03.06.2019 წლის მიმდინარე პროცესებში. ტელეკომპანია რუსთავი ორი ეთერში უშვებს გახარიას სიტყვებს, როდესაც ის ამბობს რომ არასრულწლოვნების საქმე შეიძლება **წლობით გაგრძელდეს**. ხოლო ტელეკოპანია იმედი ხაზს უსვამს იმ კონტექსტს როდესაც გახარია, ხორავას ქუჩის გამოძიებას, **პირად გამოწვევასა და ღირსების საქმეს** უწოდებს. გახარია პირობას დებს, რომ დათინა სარალიძის ჯგუფურ მკვლელობაში დამნაშავე ყველა პირი ნაპოვნი და დასჯილი იქნება. ეს მაშინ როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი 04.12.2017 წელს აცხადებდა რომ **ყველა ეჭვმიტანილი დაკავებული ჰყავდა.**

და ბოლოს ხორავას ქუჩის საქმეზე მიმდინარე ჩვენი კვლევის განმავლობაში, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რაოდენობრივ კონტენტანალიზში პირველ ადგილზე იქნება ტელეკომპანია იმედი.

## დასკვნა

ასე გააშუქა სამმა ქართულმა ტელევიზიამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია. ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა “ თავიდანვე გაარცელა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით რომ, მოზარდების მკვლელობაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა შვილებიც, ამიტომ ტელევიზიამ „მოდარაჯე ძაღლის“ როლი მოირგო. არ გამორჩა არც ფარდულის განადგურება, არც კალანდიების სახლთნან არსებული კამერის ჩანაწერები, მირზა სუბელიანის მიერ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული ინფორმაცის კომპრომატად გამოყენება. ეს ფაქტები ცხადყობს რომ მედიამ პოლიტიკის ჩარჩოში მოაქცია ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია. მთავარი ფრეიმი ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ იყო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანებიბ ბრძოლა გადარჩენისთვის.

ოპოზიციის განცხადებით ზაზა სარალიძეს სისტემა დაუპირისპირდა. „სისტემა უნდა დაინგრეს!“ ზაზა სარალიძის ეს სიტყვები „ხორავას ქუჩის საქმის“ მთავარი ფრეიმია. ფრეიმი, რომელიც ბოლო დროს შეიცვალა, მაგრამ არავინ იცის, მომავალში როგორ სახეს მიიღებ.

ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტი. როდესაც ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, პარლამენტის წინ მიმდინარეობდა აქციები, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და „პირველი არხი“ საინფორმაციო გამოშვებებს ყოველთვის ცხელი წერტილიდან იწყებდნენ. პირველი რეპორტაჟი ორივე ტელევიზიის იწყებოდა მიმდინარე აქციებიდან, ჟურნალისტი იდგა იქ, სადაც იყო  საპროტესტო მუხტი. ტელეკომპანია „იმედმა“  31.05.2018 წლის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი აქციის დროს, საინფორმაციო გამოშვება, ირაკლი შოთაძის გადადგომაზე საუბრით დაიწყო და მხოლოდ შემდეგ დაუთმო დრო მიმდინარე პროტესტს.  ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე 2018 წლის 27 მაისი. როდესაც პარლამენტთან ძიუდოისტები მართავდნენ აქციას. ამავე დღეს პარლამენტთან იგეგმებოდა ზაზა სარალიძის აქციაც. ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ გაავრცელა ინფორმაცია რომ, სარალიძის აქციებს შეუერთდებიან ძიუდოისტები და მალხაზ მაჩალიკაშვილი, ტელეკომპაია „პირველმა არხმა“ განაცხადა რომ ძიუდოისტები შეუერთდებოდნენ ზაზა სარალიძის აქციას, მაგრამ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სარალიძის მიერ დაგეგმილი აქციაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

„ხორავას ქუჩის საქმეზე“ დაკვირვებამ კიდევ ერთი ფაქტი გამოკვეთა. 31.05.2018 წლის აქციაზე დაპირისპირება მოხდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალურ დირექტორსა და აქციის ერთ-ერთ მონაწილეს შორის. ეს კადრები „რუსთავი 2-მა“ არ გაავრცელა.

2017 წლის 1 დეკემბერს მომხდარი მკვლელობიდან 2019 წლის 3 ივნისამდე „ხორავვას ქუჩის საქმეში ბევრი ცვლილება მოხდა. გარდაცვლილი დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძე, საკუთარი ძალებით, ოპოზიციის, საზოგადოების და გარკვეულწილად ხელისუფლების დახმარებითაც მოახერხა სამართლიანობის აღდგენა, ჯერჯერობით არასრულყოფილად, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობს.

კვლევამ ცხადყო, რომ „სარალიძის საქმის“ გამოძიებაში ქართულმა ტელევიზიებმა დიდი წვლილი შეიტანეს. მათ მოირგეს მოდარაჯე ძაღლის როლი და არ მისცეს მოდუნების საშუალება ხელისუფლებას. ქართულმა ტელევიზიებმა შეასრულეს მედიატორის როლი ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

# თავი IV. „ცეკვა თავისუფლებისთვის“

2018 წლის 12 მაისს დაახლოებით ღამის პირველ საათზე, თბილისის ორ ღამის კლუბში „ბასიანსა“ და „გალერიში“ სპეცოპერაცია ჩატარდა. კლუბები ყოელგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაატოვებინეს იქ მყოფ სტუმრებს. პოლიციის აგრესიის გამო პროტესტის გამოხატვის მიზნით ათასობით ადამიანი დედაქალაქის მთავარ გამზირზე გამოვიდა. მათ აინტერესებდათ თუ რატომ მოხდა ეს სპეცოპერაცია. შსს-მ განაცხადა რომ ოპერაცია ნარკორეალიზატორების დაკავების მიზნით ჩატარდა, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ყველა დაკავებული, სპეცოპერაციის დაწყებამდე გაცილებით ადრე აიყვანეს.

აქტივისტებმა გადაკეტეს რუსთაველის გამზირი. საპროტესტო გამოსვლას ეწოდა „ცეკვა თავისუფლებისთვის“ ათასობით ახალგაზრდა ელექტრონული მუსიკის ფონზე პროტეტის ნიშნად ცეკვავდა. (on.ge ვებ.საიტი, „სოლიდარობის 10 ყველაზე ძლიერი მაგალითი“ https://bit.ly/2LdhEjT )

საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართველმა ახალგაზრდებმა, პროტესტი, არა ბანერებით და შემახილებით, არამედ ცეკვით გამოხატა. (on.ge ვებ.საიტი, „სოლიდარობის 10 ყველაზე ძლიერი მაგალითი“ https://bit.ly/2LdhEjT )

ტელეკომპანია რუსთავი ორმა, პიდაპირ ეთერში მაუწყებლობა, სპეციალური გამოშვებით დაიწყო სპეცოპერაციის დაწყებიდან ნახევარ საათში, უწყვეტი პირდაპირი ეთერი მთელი ღამის განანმავლობაში მიმდინარეობდა. დაახლოებით 4 საათზე პირდაპირი ეთერი ჩაირთო საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ტელეკომპანია იმედს 12 მაისის ღამის კლუბების დარბევა, პირდაპირ ეთერში არ გაუშუქებია. (მასალა არ იძებნება არც არხის ოფიციალურ ვებ.გვერდზე და არც იუთუბზე)

12 მაისის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „შაბათის კურიერი“ რუსთაველზე მიმდინარე საპროტესტო აქციით დაიწყო. თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, გადაიკეტა ქვეყნის მთავარი გამზირი . პარლამეტის შენობასთან შეკრებილები **პრემიერ კვირიკაშვილის და შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას გადადგომას მოითხოვენ.** აქციის მონაწილეების პროტესტი, ღამის კლუბების დარბევამ გამოიწვია. სპეცოპერაციაზე ისინი პასუხისმგებლობას ქართული ოცნების ხელისუფლებას აკისრებენ. (12.05.2018 21:00 „ კურიერი“ ნოდარ მელაძე https://bit.ly/30qYIl9 )

დილის 12 საათზე შსს-ს მიერ გამართულ ბრიფინგზე გავრცელდა 14 წუთიანი ვიდეოჩანაწერი. სადაც ნარკოტიკების გასაღებაა ასახული. სამინისტროს განცხადებით, სწორედ ამ ვიდეომასალის საფუძველზე მოხდა სპეცოპერაცია.

„ჩვენი თავისუფლებისთვის", ამ ლოზუნგით აქციის მონაწილეები კრიმინალური პოლიციის თადასხმას აპროტესტებდნენ. ისინი ფიქრობენ რომ ხელისუფლებამ მათი დაშინება და თავისუფლების შეზღუდვა სცადა. აქციის ერთი ნაწილი არ გამორიცხავდა რომ სპეცოპერაცია ხელისუფლების შიდა დაპირისპირების შედეგია და და ძალოვნებმა **წითელი ბარათი თბილისის მერს, კახი კალაძეს** უჩვენეს. კახა კალაძე კამერების წინ გვიან ღამით გამოჩანდა. მისი განცხადებით ნარკო-რეალიზატორებთან ბრძოლა ერთობლივი ძალებით უნდა მოხდეს და ღამის ეკონომიკა, აუცილებლად უნდა განვითარდეს. აქციის მონაწილეები ფიქრობენ რომ სამართალდამცველებმა ნარკორეალიზატორები საკუთარ რიგებში უნდა ეძებონ. (12.05.2018 21:00 „ კურიერი" ნოდარ მელაძე https://bit.ly/30qYIl9 )

„ახალგაზრდების რევოლუცია", „ცეკვა თავისუფლებისთვის" ასე უწოდეს მიმდინარე საპროტესტო აქციას. **აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ რომ პოლიცია გამსაღებლებს არასწორ ადგილას ეძებს.** ისინი ქალაქის მერს, დუმილის გამო საყვედურობდნენ. „კახა, გაგექცა ქალაქი!კახა, გამოდი! კახა, ქალაქი გიჩერდება! არ გვიშვებთ კლუბებში? აი ეს გახდება ყველაზე დიდი კლუბი საქართველოში" ასე მიმართეს რუსთაველზე შეკრებილმა ახალგაზრდებმა, თბილისის მერს. ბრძოლა პროგრესსა და განუვითარებლობას შორის, ასე აფასებს ლაშა ბუღაძე მიმდინარე პროტესტს. (12.05.2018 21:00 „ კურიერი" ნოდარ მელაძე https://bit.ly/30qYIl9 )

აქციაზე იმყოფებოდნენ **პოლიტიკოსებიც,** ისინი ფიქრობენ რომ ხელისუფლება ნარკორეალიზატორების ნაცვლად საკუთარ უდანაშაულო მოქალაქეებს ებრძვის.

კიდევ ერთი სიუჟეტი, რომელიც რუსთავი ორის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ შემოგვთავაზა, ეხებოდა 8 დაკავებულ ადამიანს. სიუჟეტიდან სჩანს რომ ეს ადამიანები **დააკავეს არა ღამის კლუბებში, სპეცოპერაციის დროს, არამედ სპეცოპერაციამდე**. ეს განცხადება, სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ გააკეთა, იგივე დაადასტურა ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატმა. დარბევა მოხდა ღამის პირველ საათზე, ადამიანების დაკავება კი დაახლოებით 9-10 საათზე. ეს გარემოება აჩენდა მთავარ კითხვას, თუკი დაკავებები უკვე განხორციელებული იყო, მაშინ რატომ გახდა საჭირო კლუბებში შეჭრა

ძალისმიერი გზით? მომიტინგეების აზრით, ხელისუფლებამ საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინა.

„შაბათის კურიერში“ აქცენტი გაკეთდა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზეც. სპეცოპერაცია დროში დაემთხვა ივანიშვილის დაბრუნებას. **„ივანიშვილის ტრიუმფალური დაბრუნება“** ასეთი პოლიტიკური შეაფასებები გააკეთეს სპეცოპერაციის დროს დაზარალებულმა ადამიანებ.

გადაცემაში აქცენტი გაკეთდა **ბერა ივანიშვილის ფეისბუქ მიმართვაზეც**. 6 მაისს მომღერამლა საკუთარ ფეისბუქზე პოსტი გამოაქვეყნა: „პირადად მე და მთელს ჩემს ოჯახს დიდი სურვილი გვაქვთ ამ კლუბში მომხდარი მკვლელობების და დამნაშავეების სასტიკი დასჯის. იმედია ასეც მოხდება“ იყო თუ არა ეს მიმართვა მწვანე შუქი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. (12.05.2018 21:00 „ კურიერი“ ნოდარ მელაძე https://bit.ly/30qYIl9 )

ტელეკომპანია იმედის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აქციის მიმდინარეობა გაშუქდა უსიტყვოდ. არ გააშუქეს სიტყვით გამომსვლელი ადამიანები ( ერთადერთი სიტყვა რომელიც ეთერში გავიდა, პრემიერ მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნა იყო). პარლამენტიდან ჟურნალისტის ჩართვის დროს კადრში აქციის მონაწილეები მხოლოდ ცეკვა ჩანს. **ის სათქმელი რასაც ახალგაზდები 6 საათის განმავლობაში გამოთქვამდნენ, ტელეკომპანია იმედისთვის ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა. ტელევიზის ყურადღება, მხოლოდ ახალგაზდების ელექტრონულ მუსიკაზე ცეკვამ მიიქცია.** (12.05.2018 20:00 „ქრონიკა“ თეა სიჭინავა https://bit.ly/2JqI4fO)

ეთერში გავიდა სპეცოპერაციის ქრონიკა. რეპორტაჟის მიხედვით დაპირისპირება ახალგაზრდებსა და პოლიციის შორის მას შემდეგ მოხდა, რაც უცნობმა პიროვნებამ პოლიციელს სითხე შეასხა. და რომ მხოლოდ ეს იყო დაპირისპირების გამომწვევი.

დილით შსს-მ განმარტა რომ **გასულ ღამეს** ნარკოტიკების რეალიზების ბრალდებით 8 პირი დააკავა. რაც გვარწმუნებს რო ეს ადამიანები სპეცოპერაციის დროს აიყვანეს. ტელეკომპანია რუსთავი ორი კი სახალხო დამცველსა და ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატის ინტერვიუზე დაყრდნობით აცხადებს რომ ეს ადამიანები სპეცოპერაციამდე დააკავეს. ჟურნალისტის კითხვებს გადაცემის 43-ე წუთზე თავად სახალხო დამცველი

ისაუბრებს, ნინო ლომჯარია იტყვის რომ 8 დაკავებული ადამიანი, უშუალოდ სპეცოპერაციამდე აიყვანეს.

ქრონიკის ობიექტივში მოხვდა საინტერესო კადრები, რაც არც რუსთავი ორის და არც ტელეკომპანია პირველი არხის ეთერში არ გასულა. კადრში ჩანს, როგორ სთხოვენ ტერიტორიის დატოვებას აქტივისტები აქციაზე მისულ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერს, **რომან გოცორიძეს** .

გადაცემა გრძელდება სტუმრებთან საუბრით, სტუდიაში ჟურნალისტის კითხვებს აკაკი ზოიძემ და ირაკლი კობახიზემ უპასუხეს.

ირაკლი კობახიძე სპეცოპერაციის გარდაუვლობაზე საუბრობს, მისი თქმით ამ სპეცოპერაციით  მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს, რადგან მიღებული იყო საკმაოდ დიდი ხიფათის შემცველი ინფორმაცია. **მაშინ როდესაც თვითმხილველები, პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებაზე საუბრობენ, კობახიძე დადებითად აფასებს სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებულ ქმედებებსა. მისი თქმით პოლიციელებს ხელკეტიც კი არ გამოუყენებიათ.** კობახიძე ამას ქართული **ოცნების დიდ მიღწევად აფასებს.** (12.05.2018  20:00  „ქრონიკა“ თეა სიჭინავა https://bit.ly/2JqI4fO)

„პირველი არხის“ მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ, განსხვაებით ტელეკომპანია „იმედისა“ დიდი დრო დაუთმო აქციის მონაწილეთა სიტყვით გამოსვლებს.

აქციის მონაწილეები აფიქსირბენ თავიანთ პროტესტს. ისინი ითხოვენ პრემირ მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას. დიდი დრო ეთმობა ახალგაზრდების ძალიან ემოციურ გამოსვლებს. „**მოგესალმებით საბჭოთა კავშირში**, მე ოცდაათი წლის წინ ვიდექი აქ პირველად და მაშინ საბჭოთა კავშირი დავანგრიეთ ჩვენ, ჩვიდმეტი წლის ბიჭი ვიყავი. ეტყობა ვერ დავანგრიეთ კარგად“ ასე მიმართა  დავით კოვზირიძემ საზოგადოებას. ( 21:00  12.05.2018  „მოამბე“  ნინო ვარდოსანიძე https://bit.ly/2JzYy47)

ჟურნალისტი საუბრობს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებაზე. 10 წუთის განმავლობაში წამყვანის კითხვებს აკაკი ზოიძემ უპასუხა. გადაცემაში სრულად გავიდა კახა კალაძის ინტერვიუ. ასევე სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას განცხადება,  სადაც სახალხო დამცელი ამბობს რომ დაკავებულებმა მასუთხრეს, რომ ისინი სპეცოპერაციამდე

დააკავეს და გაუგებარია რატომ გახდა საჭირო კლუბებში შეჭრა. ( 21:00 12.05.2018 „მოამბე“ ნინო ვარდოსანიძე https://bit.ly/2JzYy47)

აქცია გაიმართა 13 მაისსაც. აქტივისტებმა დააანონსეს, რომ ისინი 17 მაისს გამართავდნენ აქციას, რადგან ამ დღეს მსოფლიო ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღეს აღნიშნავს. ამ აქციების საწინააღმდეგოდ დაანოსდა კონტრაქცია, ნეონაცისტური ჯგუფის მიერ. ნაონაცისტურ ჯგუფს სურდა რომ პარლამენტთან შეკრებილი ადამიანების გამოხატვის თავისუფლება უნდა შეზღუდულიყო. 13 მაისს პარლამენტთან ორი აქცია გაიმართა, ნეოცაცისტებსა და თავისუფლების მოთხოვნის მქონე ადამიანების. სიტუაციის კონტროლის მიზნით მათ შორის იდგა სპეცრაზმი. ( 21:00 12.05.2018 „მოამბე“ ნინო ვარდოსანიძე https://bit.ly/2JzYy47)

„მოგვიანებით გაირკვა, რომ უსაფრთხოების ზომები მკაცრდებოდა. აქციაზე მივიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია და ორგანიზატორებს შეხვდა. დაიწყეს მოლაპარაკებები.

შეხვედრის შედეგი ასეთი იყო: მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა დასჯილიყო ყველა ის პასუხისმგებელი პირი, რომელმაც სპეცოპერაცია დაგეგმა თუ გადაცდომები აღმოჩნდებოდა, აქციის ორგანიზატორებთან ესაუბრა სპეცოპერაციის ჩატარების მიზეზებზე და ჰუმანურ ნარკოპოლიტიკაზე მუშაობა გაგრძელდებოდა.

აქციის მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ მინისტრის დაპირება საკმარისი არ იყო და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. რამდენიმე წუთში ტრიბუნაზე გიორგი გახარია ავიდა და აქციის მონაწილების მოთხონა შესრულდა. აქცია მალევე დაიშალა.“ (https://bit.ly/2LEhNME )

ერთ-ერთი ყველაზე ჭთამბეჭდავი 13 მაისის აქციაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვით მიმართვა იყო. მინისტრი ათასობით გაბრაზებული ადამიანის წინაშე გამოვიდა და მისმა მიმართვამ საყოველთაო ნდობა და დადებითი შეფასებეი გამოიწვია. მინისტრს სიტყვა, ერთხელ გაბრაზებით, ათჯერ კი ტაშით გააწყვეტინეს.

**„მოდით მაშინ დავიწყოთ ბოდიშით, ბოდიში!** თუმცა მე ვიხდი ბოდიშს არამხოლოდ ჩემი სახელით, არამედ თუ რომელიმე თქვენგანს, ან თქვენს უსაფრთხოებას რისკი შეუქმნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე წარმომადგენელმა. თუმცა, ასევე მინდა გითხრათ და გთხოვოთ თქვენც, მათ მხოლოდ, რომლებმაც ასევე მიაყენეთ შეურაცხოფა

ფორმაში ადამიანს, რომელიც იცავდა სხვა ადამიანის უფლებებს, ასევე მათაც ვუთხრათ ბოდიში. ( აქტივისტები აპროტესტებენ ამ მოწოდებას) კარგით ეს თქვენი არჩევანია.

ახლა გავაგრძელოთ საქმეზე საუბარი.პირველი ჩვენი ყველას საერთო ამოცანაა, ეს საღამო დავასრულოთ მშვიდობიანად. მეორე, თქვენ იცით რომ უკვე მეორე დღეა თქვენი გამოხატვის თავისუფლება აქ არ შეუზღუდავს არავის. ასევე იცით, რომ თითოეული პოლიციელი დღესაც და გუშინაც, ზრუნავდა თქვენს უსაფრთხოებაზე. ახლა იმისთვის რომ ჩვენ ყველამ, მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, რომელიც გახლავთ, რომ ერთობლივარ ვიპოვნოთ სწორი გამოსავალი, იმ საკმაოდ რთული ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენს წინაშე ერთობლივად დგას, უბრალოდ უნდა გადავინაცვლოთ, უფრო სამუშაო რეჟიმში. ამიტომ მე ჩემი მხრიდან გპირდებით, რომ ხვალ დილით 10 საათზე, თქვენს წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც თქვენ აირჩევთ, დეტალურად განვიხილავ პარასკევი დღის ყოველ წუთს, რომ ყველა ის ადამიანი, რომელზეც ერთობლივად შევთანხმდებით, რომ უფლება დაერღვა, იქნება უფლება აღდგენილი. მე ასევე გპირდებით, რომ ჩვენ კონკრეტულ შედეგებს მივაღწევთ ნარკო-პოლიტიკის მიმართულებით. და მესამე, ასევე ვთანხმდებით იმაზე, რომ თუ ეს დაპირებები არ შესრულდება, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია თავისუფალ ქალაქში, თავისუფალი პარლამენტის წინ ასევე შევიკრიბოთ ან ვიცეკვოთ, ან მოვუსმინოთ მუსიკას.

ეხლა, მე მინდა გთხოვოთ დავემორჩილოთ პოლიციის მითითებებს რათა დავიცვათ, ჩვენი და ჩვენი თანამოქალაქეების უსაფრთხოება. ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი... იმიტომ რომ თითოეული ქართველი მოქალაქის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა არის ყველაზე მნიშვნელოოვანი. და არ აქვს არანაირი მნიშვნელობა მის ორიენტაციას, რელიგიურ მრწამსს და ასე შემდეგ. ასევე რა თქმა უნდა, მინდა მივმართო ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, რომელიც დღეს შეკრებილია, მთელს რუსთაველის ქუჩაზე. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ და შევინარჩუნოთის მიღწევები თავისუფლების და გამოხატვის, რომელიც გვაქვს და არ უნდა შევიდეთ კონფლიქტში, რომელიც მხოლოდ დაგვაკარგვინებს დროს. კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ დავემორჩილოთ ამ წუთიდან, პოლიციის მითითებებს... და მივცეთ საშუალება თბილისს, იცხოვროს ჩვეულებრივი, სამუშაო, ნორმალური ორშაბათი დღით.

თქვენ ხართ ამ ქვეყნის მომავალი და ჩვენ ყველას ერთად უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ადამიანი, რომელიც დღეს დგას ქუჩაში, არის ძალზედ ფასეული ამ ქვეყნის

მომავლისთვის. ამიტომ ვცეთ ერთმანეთს პატივი და გავუფრთხილდეთ ერთმანეთის უსაფრთხოებას. მადლობა!“

18 მაისს თითქმის ექვსი საათის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია პარლამენტში 12 მაისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, დეპუტატების კითხვებს პასუხობდა. გახარია ცდილობდა იმის ახსნას რომ სპეცოპერაციის ჩატატრება გარდაუვალი იყო. გიორგი გახარიამ საპარლამენტო ტრიბუნასთან პირობა დადო, რომ დანაშაულთან ბრძოლას გააქტიუურებდა.

## დასკვნა

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რომ 2018 წლის 12 მაისს კლუბი „ბასიანის“ და „გალერის“ სპეცოპერაცია პირდაპირ ეთერში გააშუქა ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა” და ტელეკომპანია „პირველმა არხმა“. „იმედის“ ოფიციალურ საიტზე ვიდეომასალა არ ფიქსირდება. ტელეკომპანია „იმედის“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აქცია გაშუქდა ახალგაზრდების მოთხოვნების გარეშე. რეპორტაჟში არ იყო სიტყვით გამოსვლები. წამყვანმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ახალგაზრდები ცეკვით აპროტესტებდნენ კლუბების დარბევას.

ახალგაზრდების აქცია, აპოლიტიკურ შინაარსს ატარებდა. მაგრამ როდესაც აქციაზე რომან გოცირიძე გამოჩნდა, ტელეკომპანია იმედის რეპორტაჟში დაფიქსირდა აქტივისტების უკმაყოფილება ოპოზიციონერის მათ რიგებში ყოფნის გამო.

ოპოზიციისადმი უარყოფიდად განწყობილი ადამიანები, ჩვენს კვლევაში უკვე მეორედ გახდა ტელეკომპანია „იმედის“ რეპორტაჟის თემა. ხოლო ტელეკომპანია რუსთავი 2-მა უკვე მეორედ მოახდინა ოპოზიციური მხარისადმი უარყოფითად განწყობილი ადამიანების დამალვა.

**„მოგესალმებით საბჭოთა კავშირში!“** ამ ფრაზით შეაფასეს ახალგაზრდებმა კლუბებში შეჭრა და თავისუფალი ადამიანების, უფლებების უხეშად დარღვევა. მათ ხელისუფლების ქმედებები საბჭოთა იდეოლოგიის ჭრილში, საბჭოთა სტილში განიხილეს. ეს ფრაზა წარმოადგენს ფრეიმს, რომელიც შედარებას აკეთებს წარსულსა და თანამედროვეობას შორის. ( 21:00 12.05.2018 „მოამბე“ ნინო ვარდოსანიძე https://bit.ly/2JzYy47)

# თავი V. „გავრილოვის ღამე“

2019 წლის 20 ივნისს, თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესია ჩატარდა. საქართველოში 25 ქვეყნის დელეგაცია ჩამოვიდა, მათ შორის რუსეთის დუმის სამი დეპუტატი. ასამბლეის წაყვანის დროს სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე იჯდა, რასაც ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. ოპოზიციის წევრები პლენარულ სხდომათა დარბაზში შევიდნენ და თავმჯდომარის ადგილი დაიკავეს, გავრილოვს კი დარბაზში შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ თავმჯდომარის ადგილას ოკუპანტი ქვეყნის დეპუტატი, რომელმაც აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა, არ უნდა იჯდეს. საბოლოოდ, ასამბლეის სესია შეწყდა და რუსმა დეპუტატებმა ქვეყანა დატოვეს. მოქალაქეებმა ანტისაოკუპაციო აქციები მოაწყეს. დღის ბოლოს კი პარლამენტის წინ შეიკრიბნენ. აქციის მონაწილეების ნაწილმა პარლამენტში შესვლა სცადა და ცენტრალურ გამზირზე მობილიზებულმა სპეცრაზმმა მათი დაშლა დაიწყო. სამართალდამცავებმა მოქალაქეების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. შსს-ს ცნობით, 305 აქციის მონაწილეები დააკავეს. 240-მდე დაშავებული კი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. („რადიო თავისუფლება“, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 21.06.2019 https://bit.ly/2SaRwXA )

20 ივნისს, საინფორმაციო გამოშვებების მთავარ თემას, რუსეთის დუმის კომუნისტი დეპუტატის, სერგეი გვრილოვის ვიზიტი წარმოადგენდა. სამივე ტელევიზიამ მაქსიმალური ბალანსით გააშუქა მიმდინარე მოვლენები. რადგან საკითხის ირგვლის საერთო აზრი არსებობდა. საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო გავრილოვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ყოფნა და მისი სიტყვით მიმართვა პარლამენტისთვის რუსულ ენაზე. ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, თავის მხრივ ხელისუფლება ვიზიტის ორგანიზატორებისკენ იშვერდა ხელს. ღონისძიების ორგანიზატორების განცხადებით, კი გავრილოვი თავმჯდომარის სავარძელში შემთხვევით დაჯდა, რადგან ეს ადგილი საბერძნეთის წარმომადგენელს უნდა დაეკავებინა.

რუსულ დელაგეციას საქართველო დროზე ადრე, იძულებით დაატოვებინეს. ათასობით ადამიანი რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა. ისინი აპროტესტებდნენ

რუსი დეპუტატისთვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დათმობას და რუსულ ოკუპაციას.

20 ივნისს, კურიერის წამყვანებს სტუდიაში არ უმუშავიათ. მათი სტუდია რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ადამიანებს შორის იყო. **„ათასობით ადამიანი ახლა აქ** რუსულ ოკუპაციას და **ქართული ოცნების უპრინციპო და დანაშაულებრივ პოლიტიკას აპროტესტებს.** აქ იმყოფებიან უკიდურესად გაბრაზებული მოქალაქეები, რომლებიც აპროტესტებენ იმას რაც დილით პარლამენტში მოხდა. იმ შენობაში სადაც 1991 წელს ზვიად გამსახურდიამ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, რუსი დეპუტატი იჯდა . რუსულად მიყავდა სხდომა და ცდილობდა ქრისტიანულ სიყვარულზე საუბრით შეენიღბა ოკუპაცია. (20:06:2019 21:00 კურიერი წამყვანები პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2YPgiis )

და ეს ყველაფერი, საქართველოს ხელისუფლების ნებართვით ხდებოდა. რუსი დეპუტატი ჯერ ქვეყანაში შემოუშვა, შემდეგ საზეიმო დახვედრა მოუწყო ავლაბრის რეზიდენციაში, დაუფინა ფიანდაზები. შემდეგ მოიყვანა აი აქ პარლამენტის შენობაში და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მოათავსა. აი ამ შენობაში რუსეთის დუმის დეპუტატი, ვლადიმერ პუტინის ემისარი, რამდენიმე წუთის განმავლობაში, ქვეყნის გენერალ-გუბერნატორად გრძნობდა თავს. სწორედ ამ ფაქტის გამო, აქ ათასობით ადამიანი, ოპოზიცია და სამოქალაქო აქტივისტები არიან შეკრებილი. და აპროტესტებენ ქვეყნის კრემლისთვის ჩაბარების მორიგ მცდელობას.“ (20:06:2019 21:00 კურიერი წამყვანები პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2YPgiis )

ერთ-ერთ რეპორტაჟში, დეპუტატი ნიკა მელია ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაღუპული გიორგი ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას მიაყენა შეურაცყოფა, დეპუტატმა პარლამენტის ტრიბუნაზე, ნაწამები გმირების სურათები გამოფინა. ეს კადრები, არც პირველი არხის და არც ტელეკომპანია იმედის ეთერში არ გასულა.

კურიერის კიდევ ერთ სიუჟეტში ნაჩვენები იყო დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა გაწრილი თუ როგორი პატივით დახვდა ხელისუფლება ოკუპანტი

ქვეყნის წარმომადგენლებს. მაღალი დონის სტუმრებისთვის ფიანდაზების გაფენა, დიდი მიღება მცხეთის რესტორანში და საპატიო კოლონა. ეს მცირე ჩამონათვალია იმ პატივისცემის, რომელიც საქართველოს გავრილოვის საამებლად, 61 ათასი ლარი დაუჯდა. დოკუმენტს ხელს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აწერს. (20:06:2019 21:00 კურიერი წამყვანები პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2YPgiis )

ტელეკომპანია იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვებაც გავრილოვის თემით დაიწყო. წამყვანმა პირველივე მიმართვის დროს აღნიშნა რომ გავრილოვის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სკამის დაკავება, პროტოკოლური შეცდომა იყო.

„რუსეთის დელეგაციამ, მათშორის მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტმა და რუსეთის დუმის დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა საქართველო უკვე დატოვა. ჩვენი ქვეყნიდან მათი დროზე ადრე გამგზავრების მიზეზი, თბილისში განვითარებული მოვლენები გახდა. მაშინ როცა 25 ქვეყნის დელეგაციის წევრები პარლამენტში შეიკრიბნენ, დუმის დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა, **მოულოდნელად** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა. აღმოჩნდა რომ ეს **იყო პროტოკოლური შეცდომა** რომელიც ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს.“ (20:06:2019 20:00 ქრონიკა ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი, https://bit.ly/2JC5Q7w)

გადეცემის პირველ რეპორტაჟში მიმოხილული იყო პროცესების განვითარება სერგეი გავრილოვის ირგვლივ. პარლამენტის შენობასთან განვითარებული მოვლენებიდან, ქრონიკის ობიექტივს არ გამორჩენია დაპირისპირება, რომელიც ოპოზიციის ლიდერებსა და აპოლიტიკურ ადამიანებს შორის. საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფმა აქციაზე ნაციონალური მოძრაობის ყოფნა გააპროტესტა. აქციაზე მისულმა საკრებულოს დეპუტატებმა გრიგოლ ვაშაძის ტრიბუნასთან ყოფნა არ მოეწონა. მათი განცხადებით ისინი ოკუპაციას გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ავერ გააპროტესტებენ.

გავრილოვის ვიზიტი იყო, თავარი თემა პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაშიც. გადაცემის წამყვანმა პირველივე მიმართვაში აღნიშნა, რომ

ოპოზიცია და საზოგადოება, მომხდარზე პასუხისმგებლობის აღებას, ხელისუფლებას სთხოვს. „პარლამენტში განვითარებულ მოვლენებზე ოპოზიცია მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. **რუსთაველის გამზირზე ამ წუთებში საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.** ოპოზიციური პარტიები სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას მოითხოვენ, შეკრებაზე ისმის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნაც. ნაციონალური მოძრაობა თანამდებობის დატოვებისაკენ მოუწოდებს შინაგან საქმეთა მინისტრს.“ (20.06.2019 21:00 მოამბე თამთა სანიკიძე და რატი ხვისტანი https://bit.ly/2S7yv8s)

ჟურნალისტი რომელიც ერთვება პარლამენტთან მიმდინარე აქციიდან საუბრობს ინცინდენტზე, როდესაც თბილისის საკრებულოს წევრმა განცხადება გააკეთა. მან თქვა:**„დღეს ისევე როგორც საქართველოს პარლამენტი ჰქონდა ოკუპირებული რუსეთს, ისე აქვს ნაციონალურ მოძრაობას ოკუპირებული საზოგადოების ჯანსაღი პროტესტი.“** საკრებულოს წარმომადგენლების განცხაებით, ისინი ოკუპაციას ვერ გააპროტესტებენ იმ ადამიანის გვერდით, ვისაც გულის ჯიბეში რუსული პასპორტი აქვს. ამის შემდეგ საკრებულოს წევრებს ტერიტორია დაატოვებინეს.

საინფორმაციო გამოშვების მთავარი დრო დაეთმო დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების შეფასებებს პოლიტიკურ გამოხმაურებებსა და ოპოზიციის მოთხოვნებს.

## დარბევა

20 ივნისის ღამეს ახალგაზრდებმა პარლამენტში შეჭრა სცადეს. ისინი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ სამართალდამცველებს. პარლამენტზე იერიშის მიტანის შემდეგ სპეცრაზმმა ძალის გამოყენებით აქციის მონაწილეები დაარბია. გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები. აქციის მონაწილეებზე ნადირობა გათენებამდე მიმდინარეობდა, გამთენიისას კი ცნობილი გახდა, რომ დარბევის შედეგად, დაშავდა 240-მდე ადამიანი , ხოლო და 300-მდე მომიტინგე დააკავეს. დაშავებულთა შორის იყვნენ ჟურნალისტები. აქციის ორმა მონაწილემ

თვალი დაკარგა. 20 ივნისის ღამე ისტორიაში გავრილოვის ღამის სახელით შევიდა. („რადიო თავისუფლება“https://bit.ly/2G6ogfS )

„სახალხო პროტესტის მეორე დღე, **ცალი თვალითაც ყველაფერს ვხედავთ,** ამ ლოზუნგით ათასობით ახალგაზრდაა შეკრებილი. გუშინდელი სისხლიანი ანგარიშწორების შემდეგ სტუდენტები პასუხს ხელისუფლებისგან მოითხოვენ.

სპეცრაზმის განსაკუთრებული სისასტიკის გამო დაშავებული ადამიანებისა და იმ მოქალაქეების მხარდასაჭერად ვინც თვალი დაკარგა ახალგაზრდებმა აქციაზედ ცალი თვალი აიხვისე და ეუბნებიან ქართულ ოცნებას, რომ ასეთ მდგომარეობაშიც გააგრძელებენ ბრძოლას.“ (21:06:2019 21:00 კურიერი წამყვანები პაატა იაკობაშვილი და დიანა ჯოჯუა https://bit.ly/2JFpzn3 )

თუკი 20 ივნისის აქციაზე პოლიტიკოსები მოწოდებებით გამოდიოდნენ, 21 ივნისის აქცია ამ თვალსაზრისით განსხვავებული იყო. 21 ივნისს ტრიბუნა ახალგაზრდებმა დაიკავეს. ისინი ახლა უკვე არა მხოლოდ გავრილოვის მოვლენებს, არამედ 20 ივნისის ღამის დარბევაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ადანაშაულებდნენ და მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ.

ტელეკომპანია იმედმა მთავარისაინფორმაციო გადაცემა დაიწყო დაშავებულ ადამიანებზე საუბრით. მაგრამ აღნიშნა ის რაც არ უთქვამს რუსთავი ორის წამყვანებს, რომ 240 დაშავებულიდან 80 სამართალდამცველია. (21:06:2019 20:00 ქრონიკა ნანა ლეჟავა და ლევან ჯავახიშვილი https://bit.ly/2XDxMlb )

აქციიდან ჩართვისას ჟურნალისტი აღნიშნავს რომ მართალია ოპოზიციის წარმომადგენლები სიტყვით არ გამოსულან, მაგრამ ზუსტად ჰქონა ინფორმაცია რომ ისინი აქციაზე იმყოფებოდნენ.

ტელეკომპანია იმედმა ხაზგასმით აღნიშნა რომ ხელისუფლება მომხდარზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას აკისრებს. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ პარლამენტთან სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა რაც ნიკა მელიამ მომიტინგეებს შენობაში შეჭრისკენ მოუწოდა. შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია კი აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ სამოქალაქო პროტესტი პარლამენტზე შტურმის მიტანაში გადაზარდა. პროტესტის ფორმა გასცდა კონსტიტუციის ჩარჩოებს, ამიტომაც მოხდა დარბევა.

ტელეკომპანია იმედის ეთერში არ იყო ინფორმაცია ადამიანებზე, რომლებმაც თვალი დაკარგეს. „პირველი არხი“ საუბრობს ფიზიკურად დაშავებულებზე. „რუსთავი 2“ მთავარ აქცენტს სწორედ ნახევრად დაბრმავებულ ორ ახალგაზრდაზე აკეთებს და მათი სახელით, მიმართავს ხელისუფლებას რომ ბრძოლას გააგრძელებს, რადგან **ცალი თვალითაც ყველაფერს ხედავენ“**

უნდა აღინიშნოს რომ ტელეკომპანია რუსთავი ორი და ტელეკომპანია პირველი არხი 20-21 ივნისის მოვლენებს მთელი ღამის განმავლობაში პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ტელეკომპანია იმედს 20-21 ივნისის ღამეს პირდაპირი ეთერი არ უწარმოებია. https://bit.ly/2JNVnpV

„ გავრილოვის ღამეს „ მოვლენებზე პასუხისმგებლობა, ოპოზიციამ ხელისუფლებას დააკისრა. ხოლო ხელისუფლება დამნაშავეებს ოპოზიციაში ეძებდს. ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ხელისუფლების მხრიდან, ან ოპოზიციის რომელი კანდიდატი გასამართლდება, ამ პროცესებზე მას შემდეგ შეიძლება მსჯელობა, როდესაც ყველაფერი დამთავრდება. ჩვენს კვლევაში მხოლოდ 20 და 21 ივნისის მედიაქრონიკა შემოგთავაზეთ, რადგან ყველა სხვა საკითხი ჯერ ისევ ვითარდება და პროცესების დასრულებამდე, ამ თემებზე მსჯელობა არარელევანტურია.

სერგეი გავრილოვის ვიზიტთან დაკავშირებით ქართული მედია დადებითად არ იყო განწყობილი. ღონისძიების ორგანიზატორებსაც კი თავის მართლება მოუწიათ მომხდარის გამო.

მნიშვნელოვანი იყო კურიერის მიმდინარეობა არა სტუდიიდან, არამედ მოვლენათა ეპიცენტრიდან. „რუსთავი 2“ გავრილოვის ვიზიტს ხელისუფლების უპასუხისმგებლობას აბრალებს. ჟურნალისტი აუდიტორიას შეახსენებს, რომ იქ სადაც ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქართულმა ოცნებამ ოკუპანტი ქვეყნის ლიდერს სხდომის რუსულად წარმართვის უფლება მისცა. ეს იყო მთავარი ეფექტი 20 ივნისის ახალი ამბების. მთავარი ფრეიმი კი იმაში გამოიხატება, რომ მტერს არ უნდა დაუფინო ფიანდაზები.

„რუსთავი 2-ის“ ეთერში აუდიტორიამ შეიტყო, რა პატივით დახდა ქართული მხარე პუტინის ემისარს რა დაუჯდა „ქართულ ოცნებას“ ოკუპანტის მასპინძლობა.

ტელეკომპანია „იმედი“ და „პირველი არხი“ ინტერპრეტაციის სიმძაფრით „რუსთავი 2-ს“ ვერ აღემატება. თუმცა გავრილოვის ვიზიტი მათთანაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა.

# დასკვნა

სატელევიზიო ახალი ამბები საკმაოდ მრავალფეროვანია. ტელევიზიებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ თითოეულ მათგანს ახალი ამბების გაშუქების თავისებური სტილი აქვს. ახალ ამბებში მრავლად არის გამოყენებები სხვადასხვა ეფექტები და ფრეიმები, რომლითაც მედია ცდილობს შექმნას საზოგადოებრივი აზრი.

კვლევამ აჩვენა რომ ტელევიზიები ცდილობენ ფაქტს თავისებური ინტერპრეტაცია მოუძებნონ. ამის მაგალითად ჩვენი კვლევიდან შეიძლება მოვიყვანოთ „სარალიძის საქმის“ ერთი ეპოზოდი. როდესაც დავით სარალიძის მკვლელობაში გ.ჯ დამნაშავედ ცნეს, ზაზა სარალიძემ განაცხადა რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ მთავარი დამნაშავეები კვლავ თავისუფალნი არიან.

ტელეკომპანია „იმედმა“ აქცენტი გააკეთა სარალიძის სიტყვის იმ ნაწილზე სადაც ის სამართლიანობაზე საუბრობს. ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი 2“ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე რომ მთავარი დამნაშავეები, ისევ თავისუფლები არიან.და სამართალი ჯერ არ აღსრულებულა.

საკვლევი კითხვა ეხებოდა ჟურნალისტის ტექსტში შეფასებების და მოწოდებების არსებობას. შეფასებად უნდა ჩაითვალოს სამივე ტელევიზიის მიერ სერგეი გავრილოვის კომუნისტად მოხსენიება. ასევე, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში სერგეი გავრილოვის ყოფნა „რუსთავი ორისთვის“ იყო ხელისუფლების უპასუხისმგებობა, ხოლო ტელეკომპანია იმედის შეფასებით იყო „პროტოკოლური შეცდომა“

ნაშრომში არსებულ მასალაზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანია „პირველი არხი“ ცდილობს ისაუბროს, მხოლოდ ფაქტებზე. ინტერპრეტაციები და შეფასებები აუდიტორიის კომპეტენციაა.

კვლელამ, განსაკუთრებით „ხორავას ქუჩის საქმის“ გაშუქებისას აჩვენა, რომ ტელეკომპანია „იმედს“ და „პირველ არხს“ ქრონომეტრაჟით, ჟურნალისტების რაოდენობითა და წყაროთა მრავალფეროვნებით რაოდენობრივ კონტენტანალიზში ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ გაუსწრო. კურიერი რაოდენობრივი კონტენტანალიზში სამივე მიმართულებით აღემატებოდა სხვა ტელევიზიების ახალ ამბებს.

კვლევაში რამდენჯერმე ავღნიშნეთ, რომ ტელეკომპანია იმედმა არ გაავრცელა ინფორმაცია დაგეგმილი აქციების შესახებ. გარდა ამისა ტელეკომპანია „იმედი“ პირდაპირ ეთერში არ გააშუქა, არც კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციები და არც

„გავრილოვის ღამე“. ამ დროს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და ტელეკომპანია „პირველი არხი“ სპეციალური გამოშვებით მაუწყებლობდნენ.

ქართული მედიაგარემო მრავალფეროვანია. ჟურნალისტები ნამდვილად წარმოადგენენ მეოთხე ხელისუფლებას, ასრულებენ მოდარაჯე ნაგაზის ფუნქციას და წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გერდი 01.12.2017, კურიერი 21:00 https://bit.ly/2LNupB2

2. „იმედის“ ვებ.გვერდი 01.12.2017, ქრონიკა 20:00 (https://bit.ly/2JttPad
3. „პირველი არხის“ ვებ.გერდი, 01.12.2017, მოამბე 21:00 (https://bit.ly/2LQV2W5
4. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გერდი 04.12.2017, კურიერი 21:00 https://bit.ly/2NLuOa4
5. „იმედის“ ვებ.გვერდი04.12.2017, ქრონიკა 20:00 https://bit.ly/32iQjCk
6. „პირველი არხის“ ვებ.გერდი 04.12.2017, მოამბე 21:00 ( https://bit.ly/32bgx9A
7. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი, 17.12.2017, P.S 21:00 https://bit.ly/2LK342M
8. “რუსთავი 2-ის“ ვებ.გევრდი 18.01.2018, კურიერი 21:00 https://bit.ly/30BgTVF
9. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 19.04.2018, კურიერი 21:00 https://bit.ly/2XaSkg7
10. „რუსთავი2-ის“ ვებ.გვერდი 19.05.2018 შაბათის კურიერი 21:00 https://bit.ly/2XZoK1n
11. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 23.05.2018, კურიერი 21:00 https://bit.ly/2LO8c5R
12. „იმედის“ ვებ.გვერდი 23.05.2018, ქრონიკა 20:00 https://bit.ly/30pBCeM)
13. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი, მოამბე, 21:00 https://bit.ly/32nmjVZ
14. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გერდი,24.05.2018 კურიერი 21:00 https://bit.ly/2XEt8yz
15. „იმედის“ ვებ.გერდი,24.05.2018 ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2xEdWac
16. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 24.05.2018 მოამბე 21:00 https://bit.ly/32lFNtI
17. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გერდი 25.05.2018 კურიერი 21:00 https://bit.ly/2JD1RaJ
18. „იმედის“ ვებ.გვერდი 25.05.2018, ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2S7Ghix
19. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 25.05.2018, 21:00 https://bit.ly/2XCIB7o
20. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 31.05.2018, კურიერი 21:00 https://bit.ly/2G8nleL
21. „იმედის“ ვებ.გვერდი 31.05.2018 , ქრონიკა, 20:00 *https://bit.ly/3258pr9*
22. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი, 31.05.2018, 21:00 https://bit.ly/2JvdHVT
23. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 26.10.2018 კურიერი 21:00 https://bit.ly/2JtKzhz
24. „იმედის“ ვებ.გვერდი 26.10.2018 ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2XI6bja
25. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 26.10.2018 მოამბე 21:00 https://bit.ly/30vzfap
26. „რუსთავი 2-ის“ ვებ. გერდი 03.06.2019 კურიერი 21:00 https://bit.ly/2NIKQBp
27. „იმედის“ ვებ.გვერდი 03.06.2019, ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2G5V6NZ
28. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 03.06.2019, მოამბე 21:00 https://bit.ly/32iFIXL
29. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი, 12.05.2018, შაბათის კურიერი 21:00 https://bit.ly/30qYIl9 )
30. „იმედის“ ვებ.გვერდი 12.05.2018 ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2JqI4fO

31. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 12.05.2018 მოამბე 21:00 https://bit.ly/2JzYy47
32. „რუსთავი 2-ის“ვებ.გვერდი 20:06:2019 კურიერი, 21:00 https://bit.ly/2YPgiis
33. „იმედის ვებ.გვერდი 20:06:2019 ქრონიკა, 20:00 https://bit.ly/2JC5Q7w
34. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 20.06.2019 მოამბე 21:00 https://bit.ly/2S7yv8s
35. „რუსთავი 2 ის“ ვებ.გვერდი 21:06:2019 კურიერი 21:00 https://bit.ly/2JFpzn3
36. „იმედის“ ვებ.გვერდი 21:06:2019 ქრონიკა 20:00 https://bit.ly/2XDxMlb
37. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 21:06.2019 მოამბე 21:00 https://bit.ly/2JNVnpV
38. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი 21:06.2019 მოამბე 21:00 https://bit.ly/2JNVnpV
39. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი20.06.2019 #LIVE https://bit.ly/2YNWXye
40. „პირველი არხის“ ვებ.გვერდი21.06.2019 #LIVE https://bit.ly/2JNVnpV
41. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 21.06.2019 #LIVE https://bit.ly/2G657uz
42. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 22.06.2019 #LIVE https://bit.ly/2Sdx2O0
43. „რუსთავი 2-ის“ ვებ.გვერდი 22.06.2019 #LIVE https://bit.ly/2JFG2aL
44. [„ჟურნალისტიკა“; იდეის ავტორები: მარინა ვეკუა; ჟილ რუე]
45. [ალექსანდრე მღებრიშვილი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა გამომცემლობა: “უნივერსალი“ თბილისი 2015]
46. [გაზეთი „რეზონანსი“ 2010 წელი, 19 მარტი]
47. [გუსტავ ლე ბონი „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“, გამომცემლობა “მთაწმინდელი“ თბილისი 2013 წ]
48. [უმბერტო ეკო ”როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი“]
49. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ.გვერდი, „ 2008 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის არჩევნების გაშუქება პროფესიული და ეთიკური სტანდარტების კუთხით” https://bit.ly/2Lgdkk4 ნინო დანელია]
50. ირვინგ გოფმანის სოციოლოგიური თეორია https://bit.ly/2YLG7Qn
51. დისერტაცია, „ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.)“თამარ ნარინდოშვილი.თბილისი 2018 წ. https://bit.ly/2G7mRFN
52. ბლოგი „ფრეიმები მასკომუნიკაციაში“ 2015 წ. https://bit.ly/32kTidt
53. თსუ-ს ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი https://bit.ly/2G6rtft

54. ”Фрейминг медиа-текстов как инструмент воздействия на аудиторию: обзор распространенных трактовок”© Казаков А. А., 2014; https://bit.ly/2XJQOBC
55. „МЕСТО ФРЕЙМ-АНАЛИЗА И. ГОФМАНА В СОЦИОЛОГИЧЕСКОЙ ТЕОРИИ“ Обухова Е.С., https://bit.ly/2Jsv4pX
56. „Фрейминг: барьер или новые возможности для политика“ Кузнецова А. С. https://bit.ly/2Jv5j8P
57. JSTOR https://www.jstor.org/stable/10.7758/9781610448604

დანართი:

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

## Faculty of Social and Political Sciences

**Media and New Technologies**

**Khatia Samkharadze**

„TV Media News Effects and Frames“

The Master's Thesis is presented to obtain Master's Academic Degree in Media and New Technologies

Supervisor: Mariam Gersamia, Professor

Tbilisi, 2019